საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 7-8 აპრილი. 2021 წ. №73-74 (9192-9193) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

თემურ უგულავას სტუმარს კუდით ქვა ასროლინეს!



2

დაუმარცხებელი გენერალი

„დღეს დაუმარცხებელ გენერლად წოდებული, საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი მაზნიაშვილის დაბადების დღეა. ჩვენ დიდ მხედრულ ტრადიციებზე აღზრდილმა გენერალმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა დამოუკიდებელი საქართველოს ჯარის მშენებლობაში.

განსაკუთრებული ორგანიზაციული და სტრატეგიული ნიჭით დაჯილდოებული მეთაური ამავე დროს პირადი მამაცობის, სამშობლოსათვის თავდადების მაგალითი იყო თანამებრძოლებისთვის. იგი იმ ძალზე იშვიათ მხედართმთავართა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგია.

„მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკებისა, მე ვარ საქართველოს გენერალი!“, — ეს არის სიტყვები ადამიანისა, რომელიც ყველაფერზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს აყენებდა. თავისი გმირული ცხოვრების ისტორიით იგი მუდამ სანიმუშოდ დარჩება ქართველი მებრძოლებისათვის, ყველასთვის, ვისთვისაც სამშობლო უზენაესი ფასეულობაა“, — წერს საქართველოს პრემიერ- მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი Facebook-ში.

* * *

იუბილესთან დაკავშირებით გენერლის სახლ-მუზეუმს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის საკანდიდატო კურსის იუნკერები ეწვივნენ. მათ გიორგი მაზნიაშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს და მუზეუმში დაცული ექსპონატები, გენერლის მემორიალური ნივთები, მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფოტო და დოკუმენტური მასალა დაათვალიერეს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლების მუზეუმში ვიზიტს შემეცნებითი ხასიათი აქვს და გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრებისა და სამხედრო დამსახურების შესახებ მეტად ინფორმირებას ისახავს მიზნად.

ალუდა ღუდუშაური:
ოპოზიციური ტრაგიკომედია მხოლოდ წყლის ნაყვაა!

3

რა შედეგი მოგვიტანა ბოლო წლებში აშენებულმა ჰესებმა

5

გივი ჯახუა:
დავით-გარეჯა ჩემია!

7

ბოროტი ჩიფჩიფი ეკრანიდან...

ვისაც ცნობისმოყვარეობის გამო ამ ბოლო დროს „მთავარისკენ“ (მტარვალისკენ) გადაურთავს ტელევიზორი, შეამჩნევდა, რა დღეშია ამ არხის (ბრახის) ერთპიროვნული მფლობელი კუპაჭია გვარამია, რომელიც მთელი ერთი საათი თავისი ქადაგება-მონოლოგით მოძღვრავდა მსმენელ-მაყურებელს. ჯერ იყო და სიძულვილზე ჩაბჟირდა, მაგრამ რა?! ვითომ სიძულვილის წინააღმდეგ ქადაგებდა და თანაც სიძულვილისავე ენით. ვითომ სიძულვილს უარყოფდა და თავად სიძულვილის განსახიერება იყო.

აგერ ახლა კი, ამ კვირა ღამეს, სტუმარ-მასპინძლობაზე იქადაგა და, კერძოდ, მთელი შუაღამე პოზნერის არასასურველ სტუმრობას დაუთმო. ეგაო, ეგ ენაწაგდებული ტელეჟურნალისტი პუტინის იდეოლოგიაო, არადა, თავად რომ ხელისუფლებისთვის გაგიჟებული სააკაშვილის იდეოლოგია, ვითომ არაფერიო. ვაჟა-ფშაველას ერთი საოცარი სიტყვა აქვს ადამიანის ასეთი მდგომარეობის გამოსახატავად. ვიღაცა ვიღაცაზე ამბობს, ათასი სისულელე ილაპარაკა, მაგრამ **გაიმელუზნა**, არ შეიმჩნია, რას როხავდაო, ვითომ არცრა სისულელე არ მითქვამსო. აი, სწორედ **გაიმელუზნა** იმ ღამეს ეს ჩვენი კუპაჭია სააკაშვილის იდეოლოგი, რომელმაც თავისი ქადაგება-მონოლოგის ფილოსოფიური სიღრმის დასადასტურებლად ჯერ აგვისტოს ომში თუ იმის მერე შვილებმკვდარი დედები მოიშველია, ხოლო მერე, რაკი მგლოვიარე დედების სათავისო აზრი არ იკმარა, ახლა იდეოლოგიურ არტილერიას მიადგა — განსწავლული კაცის სახელგავარდნილ, საბჭოთა დროის პოლიტიკურ პატიმარს უხმო შემწედ. და ატყდა „მთავარის“ (მტარვალის) მწვირე გამტარ არხიდან ცნობილი ანტისაოცნებო მწვირიანი ჩიფჩიფი.

გვარს განგებ არ ვასახელებ. მინდა, რომ მკითხველი, საქმეში გათვითცნობიერებული მკითხველი, თავად მიხვდეს, ვისზეც ვლაპარაკობ, რაც, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყვეს... ცირკში, უეჭველია, ბავშვობაში მაინც ანდა მერე უკვე ბავშვებთან ერთად, ბევრს გვინახავს, ხელშოლტიანი მომთვინიერებელი როგორ აწკმატუნებს თავის ჭკუაზე გაწვრთნილ ფინიას. ამ შემთხვევაში კი სააკაშვილის მწვრთნელი-იდეოლოგი თითქმის მთელი ორმოცი წუთი სათავისოდ აჩიფჩი-

ფებდა პოლიტიკურად გაწვრთნილ ახლა უკვე თავბომბორა უთავმოყვარეო ნაგაზს, რომლის, სიგრძის გამო, პირში დაუტევნელი ენა აზრის გამოთქმას ბევრად წინ უსწრებს და გარეთ გამოვარდნას ცდილობს.

მკითხველს უთუოდ ახსოვს ამ ენაწავარდნილი კაცის ნაირ-ნაირი სპექტაკლები, რომელთაც იგი საჯაროდ დგამდა ამ ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. ნაირ-ნაირ სპექტაკლებში კი მუდამ ნაირ-ნაირი ნიღბით გამოდიოდა. ამ ტრადიციას ის არც დღეს ღალატობს. გახსოვთ, ალბათ, პატივცემულო მკითხველო, რომ რუბრიკა — **„გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა“**, რომელსაც მეც ვიყენებ ამ წერილის რუბრიკად, პირველად სწორედ ამ ჩვენი მცირე პამფლეტის გმირმა გამოიყენა. გარკვეული დროის მანძილზე იგი სწორედ ამ რუბრიკით გვეჩიფჩიფებოდა, ხან რომელი და ხან რომელი ეკრანიდან შევარდნაძის დასაცავად. მერე შევარდნაძეს გადაუდგა და ახლა სააკაშვილის ვექილობა დაიწყო. მაგრამ როგორც კი ივანიშვილი გამოჩნდა, ახლა ივანიშვილის ნავში აღმოჩნდა მგელთან, თივასთან და თხასთან ერთად (გახსოვთ, ალბათ, ეს გამოცანა-იგავი), ხოლო დამარცხებული სააკანთ ბიჭი მალევე მოიბეზრა.

ერთი სიტყვით, არ ვიცი, ამ როგორი დედ-მამისშვილს ჰგონია, ხალხს ან არა აქვს, ან არ უვარგა მახსოვრობა და დაავიწყდა, გუშინ ვის გვერდით იდგა იგი, რას ამბობდა, ასევე გუშინწინ და იმის იქით თუ იმას აქეთ. სრულყოფილებისთვის აქ ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან ისეთ დონეზე თუ ხარისხით ვერ თარგმნის (თავისი არ იყოს, იმ ძველ ავტორთაც აჩიფჩიფებს), როგორც რომ კუპაჭია ქადაგება-მონოლოგს. ეგაო, რუს ტელეჟურნალისტზე ამბობს, ხრუშჩოვიდან მოყოლებული ყველას სათქმელის გამხმიანებელი იყოო, ამ მხრივ თვითონ მამა აბრამის ბატკანივით **გვეპეტელება, ანუ გვემულიზნება,** ვითომ არაფერიო, ეს მე არ მეხებაო... იმ ღამეს აგნიასებული, კვერცხების მსროლელი ავი მასპინძელნი კი პატრიოტებად მოიხსენია, იქ პოლიტიკის გამო არ იდგნენო. მე რომ ახალგაზრდა ვყოფილიყავი, მეც იქ ვიდგებოდი და მარტო კვერცხებს კი არა, პამიდვრებსაც დავუშენდიო. რის ვაჟა-ფშაველა, რა ვაჟა-ფშაველაო! ესეც შენი კუპაჭია გვარამიას „მოძღვრების“ განათლებული გადმომჩიფჩიფებელი!..

და, რაკი თავისი ჭკუით „ოცნების“ საქმე ვერ არის მთლად ალჩუზე, ისევ სააკაშვილისკენ მიიწევს შესაძრომად. მაგრამ იქ უკვე სანიკიძეა გელბახიანთან ერთად. ასე რომ, ადგილი დაკავებულია, სხვა ვეღარ შეეტევა.

მოკლედ, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა...

გურამ წიკლაური

საქართველოს განვითარების ათწლიანი გეგმა ექნება

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ქვეყნის განვითარების და რეფორმების უწყებათაშორისი საბჭო შეიქმნა, რომელიც, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივის შესაბამისად, ქვეყნის განვითარების ათწლიან გეგმას შეიმუშავებს.

ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით შექმნილ უწყებათაშორის საბჭოს საქართველოს მთავრობის მეთაური უხელმძღვანელებს. განვითარების და რეფორმების საბჭოს წევრები იქნებიან მინისტრები, დეპუტატები და სხვა ოფიციალური პირები.

განვითარების და რეფორმების საბჭო უფლებამოსილია, შექმნას სამუშაო ჯგუფები და ქვეჯგუფები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მიიწვიოს სხვა უწყებების წარმომადგენლები თუ შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

განვითარების და რეფორმების საბჭოს მიზანია, არაუგვიანეს 2021 წლის 31 მაისისა, საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ქვეყნის განვითარების ათწლიანი გეგმის პირველადი დოკუმენტი.

მარკეტა გრეგოროვა: საპარლამენტო არჩევნები ხელახლა არ უნდა ჩატარდეს!

გულწრფელად გითხრათ, არ ვფიქრობ, რომ საპარლამენტო არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარდეს, რადგან თუ ახლა არ არის ნდობა არჩევნების შედეგების მიმართ ოპოზიციის მხრიდან, მაშინ რა გარანტიაა, რომ იგივე არ მოხდება, – ამის შესახებ ევროპარლამენტარმა მარკეტა გრეგოროვამ განაცხადა.

„შეიძლება ოპოზიციამ ისევ ეჭვქვეშ დააყენოს არჩევნების სამართლიანობა და შედეგები. ხელისუფლება იტყვის, რომ არჩევნები იყო სამართლიანი, თავისუფალი ... ანუ ზუსტად იგივე სიტუაციას მივიღებთ. პირველად რაც უნდა მოხდეს, ესაა შეთანხმების მიღწევა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმაზე, იმისთვის, რომ მოვლენები არ განმეორდეს და ანალოგიური მდგომარეობა არ მივიღოთ. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ, უნდა გაიმართოს თუ არა რეფერენდუმი არჩევნებზე.

ჩემი აზრით, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ძალიან კარგი ტესტი იქნება, თუ როგორ იმუშავებს საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჯერ ეს ცვლილებები უნდა განხორციელდეს და მერე ვისაუბროთ სურთ საქართველოს მოქალაქეებს რეფერენდუმის გამოყენებით გადაწყდეს ახალი არჩევნების ჩატარება, თუ მათ ურჩევნიათ ქვეყანა კალენდარს მიჰყვეს და საპარლამენტო არჩევნები 2024 წელს გაიმართოს. ამ ყველა დეტალის გათვალისწინებით, დღეს არ არის ის სიტუაცია, რომ ახალი არჩევნები ჩატარდეს“.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ტოივო კლაარი თბილისის შემდეგ სოხუმსაც ეწვევა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, თბილისის ურთიერთობები სოხუმთან, ცხინვალთან და მოსკოვთან და კონფლიქტის დაძლევის მექანიზმები – ეს ის საკითხებია, რაზეც კლაარი პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრებზე ისაუბრებს. „ქრონიკასთან“ საუბარში კლაარმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში სოხუმში გამგზავრებასაც გეგმავს.

„ვიზიტის მიზანია კონფლიქტებზე საუბარი. ეს ეხება ურთიერთობებს თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს და თბილისსა და მოსკოვს შორის. ჩვენი ვიმსჯელებთ ჟენევის მოლაპარაკებების პროცესზე, ასევე იმაზე, თუ როგორ უნდა გავაგრძელოთ ერთობლივად მუშაობა კონფლიქტების დასაძლევად. ხუთშაბათს მე სოხუმშიც გავემგზავრები“, – აღნიშნა კლაარმა.

ქვეყანა კიდევ ერთი ეპიდაფეთქების ზღვარზეა!



5 აპრილს ჩატარებული 25 ათასი კოვიდ-ტესტირებით, 794 ახალი ინფიცირებული გამოვლინდა! – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, დადებითობის, ინციდენტობისა და რეპროდუქციის ინდექსის სტატისტიკური მაჩვენებელი მატულობს, რაც მესამე ტალღის მოახლოებაზე მეტყველებს.

„მართალია, ჯერჯერობით ზრდის ნახტომი დიდი არ არის, მაგრამ ქვეყანაში ინფიცირების პროგრესირებადი ზრდაა. მოსახლეობაში დამყოლობა უნდა იყოს: პირველ რიგში, ყველგან და ყველას მიერ პირბადის უნივერსალურ ტარებაზე, დავიცვათ დისტანცია და ჰიგიენური ნორმები“, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

პრემიერ-მინისტრს კორონავირუსი დაუდასტურდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გეგმური ტესტირების შედეგად კორონავირუსი დაუდასტურდა. ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

პრემიერ-მინისტრი თავს კარგად გრძნობს, იგი თვითიზოლაციაში იმყოფება და მუშაობას დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს.

რას ითხოვს ცხინვალი გახელაძის სანაცვლოდ?!

ოკუპანტების მიერ დაჭრილი და გატაცებული ზაზა გახელაძის ცოლის ირმა ბუთხუზის ინფორმაციით, ცხინვალი გახელაძის გათავისუფლებისთვის ჩორჩანას საგუშაგოს დემონტაჟს და მე-10 საუკუნით დათარიღებული ოქონის ხატის გადაცემას ითხოვს.

ოჯახმა ჟურნალისტებს გახელაძის პოზიცია გააცნო, რომ ის მზადაა, ტყვეობაში 12 წელი დაჰყოს და თავისუფლება რელიგიური სიწმინდეების და ტერიტორიების სანაცვლოდ არ უღირს.

„თვითონ ამბობს, არ მიღირს არც ტერიტორიის დათმობა და არც ხატის გადაცემაში გადაცვლაო“, – ამბობს ირმა ბუთხუზი, რომელიც მეუღლეს ცხინვალის ციხეში წითელი ჯვრის დახმარებით შეხვდა.

ზაზა გახელაძე 2020 წლის 11 ივლისს დააკავეს. დაკავებისას ის ფეხში დაჭრეს. ოკუპირებულ ცხინვალში დაკავებულ ზაზა გახელაძეს ე.წ. სასამართლომ 12 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. დე ფაქტო მთავრობა მას ე.წ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას და სამხედრო პირის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას ედავება და ამტკიცებს, რომ გახელაძემ ე.წ. მესაზღვრის მიმართულებით მიზანმიმართულად, სულ მცირე, 5-ჯერ ისროლა. მართალია, სასამართლო პროცესზე რამდენიმე რუსმა ჯარისკაცმა უარყო, რომ გახელაძემ მათი მიმართულებით ისროლა, ე.წ. სასამართლომ ის მაინც დამნაშავედ სცნო. ზაზა გახელაძემ ე.წ. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარი თქვა.

ქართულმა მხარემ ჩორჩანასთან საგუშაგო ბლოკ-პოსტის მშენებლობა 2019 წლის 30 აგვისტოს დაასრულა. იმავე დღეს ქართულმა მხარემ ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის ულტიმატუმი არ შეასრულა – საგუშაგო ხაშურის სოფელ ჩორჩანასთან არ დაშალა – საოკუპაციო რეჟიმი სწორედ ამას ითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ „კანონის ფარგლებში მოქმედება“ დააანონსეს.

რამდენიმე დღეში, 2019 წლის 4 სექტემბერს ჩაიკეტა ოკუპირებული ახალგორი. მას შემდეგ ახალგორის მცხოვრებლებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის შესაძლებლობა მხოლოდ საშვებით აქვთ, ისიც – არა ყველას...

ეს საშინელება ეროვნული ბანკის ბრალია!

ეკონომისტი **სოსო სიმონიშვილი** საკვებ პროდუქტზე ფასების მატებას უშუალოდ ლარის გაუფასურებას უკავშირებს.

„საკვები პროდუქტზე ფასების მომატება, ცხადია, დოლარის გაძვირებამ გამოიწვია. საერთოდ, ყველა ნორმალურ ქვეყანაში ფულის მასის ზრდას იწვევს, როდესაც ეროვნულ ვალუტას ბევრს მოჭრიან ხოლმე. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ინფლაცია, რადგან ხალხში ბევრი ეროვნული ფული ჩნდება. მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში ხალხს ფული არა აქვს. წარმოიდგინეთ, ხალხს ბევრი ფული რომ ჰქონდეს და ბევრ საკვებს ყიდულობდეს, მაშინ შეიძლება გამყიდველს გაუჩნდეს მოსაზრება, რომ მოდი, პროდუქტს გავაძვირებო, თუმცა ჩვენთან ასე არ ხდება. საქართველოში სულ სხვა მექანიზმია, ანუ, ჩვენთან ფული კი იჭრება, მაგრამ ეს ფული ხალხთან არ მიდის. ეს ფული მხოლოდ ბანკებში მიდის. როდესაც ეროვნული ბანკი ზედმეტ ფულს ჭრის და ბანკებს აძლევს, ბანკები დოლარის საყიდლად გარბიან. ამიტომ დოლარი ძვირდება. ასევე ქვეყანა იმპორტდამოკიდებულია და ამ დროს დოლარი გაძვირდა, იმპორტიორმა რა ქნას ასეთ დროს? საქონელი ხომ უნდა იყიდოს და ახალი პარტია, რომ შეიძინოს მას პროდუქტის გაძვირება უწევს. ასე რომ პროდუქტს აძვირებს ეროვნული ბანკი, აძვირებს ხელისუფლების ჩუმი თანხმობით. თქვენ ჟურალისტები საუბრობთ ხოლმე, რომ ეროვნულმა ბანკმა თუ როგორ ვერ შეძლო ლარის დასტაბილურება. განა ვერ შეძლო, არამედ თავად გამოიწვია ეს ყველაფერი“, – განაცხადა სოსო სიმონიშვილმა.

ექსპერტი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ მოკლე რეფინანსირების სესხები გაუქმდეს და ასევე სახელმწიფომ ტენდერებზე რეგულაციები დააწესოს.

„ტყუილსა და სისულელეს ვერ გეტყვით, რომ სახელმწიფომ კონტროლი უნდა გააძლიეროს და ა.შ. კონტროლი ისეა გაძლიერებული, რომ მეტიც არ შეიძლება. ხალხი მკაცრად რასაც თხოულობს, იმასაც ვერ იღებს და რასაც არ მოითხოვს, იმას ვინ მისცემს.

იხ. 4 გვ.

ᲐᲚᲣᲓᲐ ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲘ: ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲜᲐᲧᲕᲐᲐ!

ᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲐᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ? ᲕᲘᲜᲛᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ?

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲐᲚᲣᲓᲐ, ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲐᲪᲘᲝ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ, ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲝᲡ ᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲣᲜᲥᲢᲨᲘ ᲬᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲔᲑᲐᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ — ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ Ა.Შ., ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲐᲚᲣᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

— ᲐᲛᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ?! — ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲜᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲗ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ. ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲬᲔᲠᲐ, ᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲔᲬᲔᲠᲐ, ᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ, ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲐᲢᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ.

— ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ 5 ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ. ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲐ?

— ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲐᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐ. თუკი საუბარია იმაზე, რომ მთელი ოპოზიცია ერთხმაში საუბრობს „ქართულ ოცნებას“ არაფერი მოუტანია მოლაპარაკების მაგიდასთან, აბა სხვა რაზეა საუბარი?! თუ „ქართულმა ოცნებამ“ რამე შესთავაზა, მაშინ თვითონ როგორ შეშინდა? იქნებ ჩამოყალიბდეს ოპოზიცია, რაზეა საუბარი. როგორ შეიძლება რამე მიიტანო და შემდეგ შეგეშინდეს, უბრალოდ, არ მესმის. არათანმიმდევრულ მიდგომასთან გვაქვს საქმე. ეს ყველაფერი წყლის ნაყვაა.

გამოსავალია ის, რომ თავისი პასუხისმგებლობა აიღოს ოპოზიციამაც. მთელი საერთაშორისო საზოგადოება, ჩვენი პარტნიორები, მათი წარმომადგენლები, აშშ, ევროკავშირი თუ სხვა, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ყოველი დღე დაკარგულია, როდესაც პარლამენტში არ შედის ოპოზიცია, ეს არის რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმა. ამას რომ გავყვეთ, მოცემულობა არის შემდეგი: როდესაც ეს წარმომადგენლები ერთი მხრივ იძახიან, რომ რუსეთს ებრძვიან და რუსეთის ქმედებებს აპროტესტებენ, ვხედავთ, რომ პირდაპირ მისი ნარატივით მოქმედებენ. ქალბატონი ბურჯანაძე იქნება თუ ბატონი მაქარაშვილი, ჩვენ ძალიან ნათლად დავინახავთ თუ საითკენ მიდის და ვის წისქვილზე უშვებს მათი მოქმედება წყალს.

— და, როგორ ფიქრობთ, შეთანხმება რომ ვერ შედგა, აქ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ იკვეთება?

— ორივეს პასუხისმგებლობა თუ იკვეთება, ორივე გულისხმობს, ორივეს, ერთს ხომ არ გულისხმობს არა?! — როდესაც ყველა საუბრობს და ცალკე რჩება ნათელაშვილის ფანჩატური, აქ ხომ ვხვდებით, რომ კომიკური სიტუაციაა და ახალი მწვერვალების აღმოჩენა ხდება. ვინ უნდა უთხრას ოპოზიციას, რომ შედით პარლამენტში, მიხეილ სააკაშვილმა? ვინმე დარჩა, ვინც ამას არ ამბობს? შეიძლება რომ ქუჩის პროტესტი, კარვები და დესტუქციული ნაბიჯები იყოს იმ გამოწვევის პასუხად, რომელიც ჩვენს ქვეყანას და საზოგადოებას აქვს?

პანდემიის პარალელურად, ჩვენ საზოგადოებას მთელი რიგი პრობლემები აწუხებს, — უმუშევრობა, სამუშაო ადგილების დაკარგვა. იმის ნაცვლად, რომ ამაზე ვიყოთ გადართულები, თანაც საქართველოს გლობალური უსაფრთხოების და გეოპოლიტიკურ რუკაზე რაღაცები შეიცვალა, ამაზე ვიყოთ ორიენტირებული და ამაზე მიდიოდეს დისკუსია პარლამენტში, ამის ნაცვლად ვიღებთ იაფფასიან სცენარს. ოპოზიციის დესტრუქციული ნაბიჯები თვითონ მასაც რომ აზიანებს, ესეც ფაქტია.

არჩევნების შემდეგ, როდესაც მათ უარი განაცხადეს პარლამენტში შემოსვლაზე, ვნახეთ, როგორ იყო დაცემული მათი რეიტინგი. საზოგადოებას არა მათი რეიტინგი, არამედ სოციალური პრობლემები და ჩვენი ქვეყანა ადარდებს. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ ასეთი გამოწვევების წინაშე, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას გავუადვილოთ და შევუმსუბუქოთ ის გამოწვევა, რაც მთელ მსოფლიოშია.

ჩვენი სამწუხარო რეალობაა, რომ ოპოზიციის ლიდერები, განსაკუთრებით ბოკერია იქნება, უგულავა, სააკაშვილი თუ ნათელაშვილი, პირდაპირ შტურმს არ ერიდებიან და შეურაცხყოფას აყენებენ დასავლელ პარტნიორებს, მათ წარმომადგენლებს, რომლებიც ამბობენ, რომ პარლამენტში შესვლა გულისხმობს იმას, რომ მათ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა, კეთილი ინებონ და მანდატი, რომელიც მიანიჭა ჩვენმა საზოგადოებამ, არ უნდა გააიგივონ მეტროს სამგზავრო ბილეთთან.

— ოპოზიციონერი ლიდერების თქმით, შესაძლოა კიდევ ერთხელ მიმართონ პარლამენტს დეპუტატის მანდატის გაუქმების თაობაზე. ამის საპასუხოდ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლება, სავარაუდოდ, ახლაც უარს ეტყვის ოპოზიციას მანდატების გაუქმების მოთხოვნაზე. რა იცვლება ამით, რატომ არ სურს „ოცნებას“ ოპოზიციას დეპუტატის მანდატები გაუუქმოს?

— როგორი საცირკო წარმოდგენაა, ხვდებით? — მათ ხალხის მიერ მინიჭებული უმაღლესი მანდატი, რომელიც არის პირდაპირი დავალება, რომ შესულიყვნენ პარლამენტში და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ტრიბუნიდან გაეკეთებინათ განცხადებები, გაეწიათ ეფექტური კონტროლი მთავრობის მუშაობაზე და ჩართულიყვნენ საკანონმდებლო საქმიანობაში, ამის საპასუხოდ, ამ მანდატს და პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხს აყენებენ საცირკო წარმოდგენის შოუს ნაწილად.

მინდა ვურჩიო მათ, პარლამენტის სადეპუტატო მანდატს ნუ გაიგივებენ მეტროს სამგზავრო ბილეთთან. ამიტომ, უნდა გაერკვნენ, ჩამოყალიბდნენ, საზოგადოებამ რამხელა პასუხისმგებლობა დააკისრა და დაგვაკისრა ჩვენ, ყველა არჩეულ დეპუტატს. გული მწყდება, რომ ჩემი ქვეყნის ოპოზიცია ასეთ ტრაგიკომედიას და საცირკო შოუებს დგამს. ეს არის ტრაგედია, რომ ოპოზიციას ჩვენი საზოგადოებისთვის სხვა არაფერი დარჩა შესათავაზებელი, განცხადებები შეიტანონ-გამოიტანონ.

ჩვენ როგორც მაშინ, დღესაც ვმოქმედებთ არა ვიწრო პარტიული ინტერესებიდან, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. პასუხი არ უნდა გაუკვირდეთ, თუ იქნება ადეკვატური. ჩვენ სახელმწიფოებრივად ვიმოქმედეთ მაშინ და ვიმოქმედებთ დღესაც, მაგრამ მათი მოქმდება ყოველდღიურად მარწმუნებს, რომ ჩვენი საზოგადოების მიმართ არის აბსოლუტური დესტრუქცია.

ესაუბრა
ᲜᲘᲙᲝ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ

�თᲔᲛᲣᲠ Უ�გᲣᲚᲐᲕᲐᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ ᲙᲣᲓᲘᲗ ᲥᲕᲐ ᲐᲡᲠᲝᲚᲘᲜᲔᲡ!



ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღის წინ რუსი ჟურნალისტი **ვლადიმერ პოზნერი,** რომელიც თბილისს დაბადების დღის აღსანიშნავად ეწვია, სასტუმრო „რუმსში“ დაბინავდა. ეს სასტუმრო ცნობილ ქართველ ბიზნესმენს **თემურ უგულავას** ეკუთვნის. პოზნერი რომ რომელიმე ცნობილი ბიზნესმენის ცნობილ სასტუმროს ამჯობინებდა ბინების ყოველდღიური გაქირავების სააგენტოს მომსახურებას, გასაგებია, მაგრამ ინფორმაცია, რომელიც ამ სტუმარ-მასპინძლობის თემას მიეძღვნა, მეტად პიკანტური აღმოჩნდა როგორც მასპინძლისთვის, ისე მისი სტუმრისთვის.

სასტუმროში დაბინავებულ პოზნერს სასტუმროს გარეთ მყოფმა მოძრაობა „სირცხვილიას“ წევრებმა კვერცხები დაუშინეს. პარადოქსი კი სწორედ ისაა, რომ მასპინძელი უგულავა, როგორც აღმოჩნდა „სირცხვილიას“ დამფინანსებელი თუ შემომწირველიც ყოფილა. ანუ, რა გამოდის? — უგულავას დაფინანსებულებმა დამფინანსებლის სტუმარს „კუდით ქვა ასროლინეს“ და ისე გააგდეს საქართველოდან.

ეს სახამუშო ინცინდენტი სოციალურ ქსელში ანალიტიკოსმა **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** გაავრცელა:

„რამდენადაც ვიცი, ბიზნესმენი თემურ უგულავა, სასტუმრო „რუმსის“ მფლობელი და დელეგაციის მასპინძელია. ის, იმავდროულად აფინანსებს „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდულ ფრთას „სირცხვილიას“. ალბათ უცნაურ ფსიქიკურ აშლილობასთან გვაქვს საქმე, რადგან „სირცხვილია“ ახლა დგას და საკუთარი დამფინანსებლის სასტუმროს ესვრის კვერცხებს, სადაც საკუთარი დამფინანსებლის სტუმრები არიან განთავსებულნი“. აღნიშნული ინფორმაცია for.ge-მ **„სირცხვილიას“ ლიდერთან ᲒᲘᲒᲐ ᲛᲐᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ** გადაამოწმა, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. მაქარაშვილის თქმით, თემურ უგულავა „სირცხვილიას“ არ აფინანსებს, მაგრამ შესაძლოა, ადრე შემომწირველი ყოფილიყო.

„თემურ უგულავა, როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი შეიძლება სხვადასხვა საქმიანობაში ჩართული იყოს. „სირცხვილიას“ თუ რამე დაფინანსება მიუღია, ყველაფერი საჯაროა. შემოწირულობას უამრავ მოქალაქისგან ვიღებთ. არ არის გამორიცხული, რომ მათ რიგებში თემურ უგულავაც იყოს, ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი, მაგრამ როგორც ასეთი, თემურ უგულავა და მისი კომპანიები „სირცხვილიას“ დამფინანსებლები არ არიან. ჩვენ მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ვმუშაობთ. აღნიშნულ ინფორმაციას არ უარვყოფ, თუმცა, არც ვადასტურებ. **„სირცხვილია“ დაახლოებით 20 ათასი ადამიანისგან იღებს შემოწირულობას. ამ 20 ათას ადამიანს შეიძლება სხვადასხვა შეხედულება ჰქონდეს, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის თუ ოდესმე თემურ უგულავას თანხა ჩაურიცხია, ალბათ, იმიტომ რომ, „სირცხვილიას“ რაღაცაში ეთანხმებოდა, ან ცდილობდა, რომელიმე პროექტისთვის ხელი შეეწყო. თემურ უგულავას სახელი — „დამფინანსებელი“, როგორც ასეთი, არასდროს გაჟღერებულა. კიდევ ერთხელ ვამბობ: შემომწირველად — კი“,** — გვითხრა **გიგა მაქარაშვილმა.**

გიგა მაქარაშვილი ასევე, უარყოფს ინფორმაციას, რომ რუსი ჟურნალისტის ვიზიტს კვერცხების სროლით აპროტესტებდა. **„ვინ დაინახა, რომ კერცხებს ვუშენდი?! კი ბატონო, აქციაზე ვიმყოფებოდი, მაგრამ „სირცხვილიას“ არც ერთ წევრს კვერცხი არ უსვრია. თუ კვერცხს ვისვრით, ან პარლამენტთან სირცხვილის კორიდორს დავაყენებთ, პასუხისმგებლობას ყოველთვის ავიღებთ. ამ საკითხზე კი, პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ, რადგან ჩვენი მხრიდან კვერცხების სროლა არ ყოფილა“,** — გვითხრა „სირცხვილიას“ ლიდერმა.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, „ევროპული საქართველოს“ ყოფილი წევრი **ელენე ხოშტარია,** მოკლე და ისიც სმს კომენტარით შემოიფარგლა: „ღმერთმა დამიფაროს, მთელი ცხოვრება რომ ლევან ნიკოლეიშვილის სიტყვებზე კომენტარი გავაკეთო“. მმართველი გუნდის წევრი **ბექა დავითულიანიც** გამორიცხავს, რომ ბიზნესმენ თუმურ უგულავას „სირცხვილიასთან“ კავშირი ჰქონდეს და მით უმეტეს აფინანსებდეს.

„საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და ბიზნესმენს შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით, შეუძლია სხვადასხვა პოლიტიკური აქტივობების და პოლიტიკურ პარტიებთან ასოცირებული აქტივისტების დაფინანსება. თუმცა, მე მსგავსი ინფორმაცია არ მაქვს და არასდროს მსმენია, რომ თემურ უგულავას „სირცხვილიას“ აქტივისტებთან კავშირი ჰქონდეს“, — განაცხადა ბექა დავითულიანმა.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, რუსი ჟურნალისტი **ვლადიმირ პოზნერი** საქართველოში 31 მარტს ჩამოვიდა. როგორც მან აღნიშნა, მან თბილისში ვიზიტი საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავად დაგეგმა და მისი საქართველოში ყოფნა არ უკავშირდებოდა პოლიტიკურ მოვლენებს. რუსი ჟურნალისტის თბილისში ჩამოსვლას სამოქალაქო პროტესტი მოჰყვა. პოზნერს და მასთან ერთად მყოფ პირებს სამოქალაქო აქტივისტები ჯერ სასტუმრო „ვინოტელთან“ დახვდნენ, შემდეგ კი სასტუმრო „რუმსში“ სირცხვილის კორიდორი მოუწყვეს და კვერცხები დაუშინეს. რაც შეეხება **თემურ უგულავას** ბიზნესებს, ის ფლობს თბილისში, მუხიანში მდებარე რადიოქარხნის ტერიტორიას, რომელიც 2019 წელს 23 მილიონ ლარად შეიძინა. ასევე მის მფლობელობაშია სასტუმრო „რუმსი“ და „სტამბა“ თბილისში, ასევე — ყაზბეგში — „სტამბა“ და „ფაბრიკა“.

ᲥᲔᲗᲘ ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ



საწვავის ფასი ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწევს?!

საწვავის ფასმა შესაძლოა, ბოლო წლების ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწიოს: ბოლო სამი თვის განმავლობაში ფასმა 60 თეთრით მოიმატა, უკანასკნელ კვირაში კი — 3 თეთრით და გადააჭარბა პანდემიამდელ ნიშნულსაც. საწვავის ფასი დაკორექტირდა გუშინაც: 1 ლიტრი რეგულარის ტიპის ბენზინის ღირებულება ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე 2.62 ლარია, არაბრენდირებულებზე — 2.45 ლარი.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ ტემპით საწვავის ფასი რეკორდულ ღირებულებას — 3 ლარს მიაღწევს (განსაკუთრებით საუბარია პრემიუმისა და სუპერის მარკის საწვავზე), რაც ასევე აისახება ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების ფასზეც.

სპეციალისტების დაკვირვებით, სადღეისოდ ფასებზე როგორც საწვავის საერთაშორისო ღირებულება, ისე ლარის კურსი ახდენს გავლენას.

„საერთაშორისო ფასი და ლარის კურსი დღეს უკიდურესად ნეგატიურად მოქმედებს საწვავის ფასზე. კომპანიებს, რომლებიც საბითუმო ბაზარზე, საცალო ქსელში ოპერირებენ, ამის გათვალისწინებით მოუწევთ ფასების კორექტირება მატებისკენ“, — ამბობს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** და პროგნოზირებს, რომ „საწვავის ფასის ზრდა სამომავლოდ აუცილებლად გაგრძელდება“.

„ბიოლის“ დამფუძნებელი **რუსა რამაზაშვილი** ფიქრობს, რომ ლარის კურსს მხოლოდ ეროვნული ბანკის ინტერვენციები აღარ უშველის და ქვეყნის ეკონომიკა უნდა ამუშავდეს:

„საწვავის საბითუმო გაყიდვებმა 10 თეთრით უკვე მოიმატა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის საცალო ქსელშიც გაძვირდება. ბუნებრივია, გაძვირდება, რადგან ლარი ანტირეკორდს ამყარებს და ამას ალბათ, ინტერვენციებიც აღარ უშველის. თუ ეკონომიკა არ გაიხსნა, თუ ქვეყანა არ ამუშავდა, სავარაუდოდ, ამ პროცესს არაფერი უშველის. მარაგი გვაქვს, რომელიც მუდმივად ივსება და რაც უფრო ემატება ახალი მარაგი, მით უფრო ძვირდება მისი საშუალო შეწონილი ფასი. იმედი გვაქვს, ფასს რაღაც დონეზე დავიჭერთ, თუ ლარის კურსს 3.20 ლარამდე მაინც ჩამოწევენ. მაგრამ თუ პროცესი ესე გაგრძელდა, ფასი 3.0 ლარზე ავა“.

კომპანიების ნაწილი ამ ეტაპზე გამოსავლად აქციზის განაკვეთის განახევრებას და 2017 წლის ნიშნულზე დაბრუნებას მიიჩნევს. 2017 წელს 1 ტონა ბენზინის საწვავის აქციზის გადასახადი 250 ლარიდან 500 ლარამდე, ხოლო დიზელის 150-დან 400 ლარამდე გაიზარდა. ამდენად, თუ აქციზის გადასახადი გადაიხედება, დაახლოებით, 20 თეთრით გაიაფდება საწვავი.

ეკონომისტთა ნაწილი კი ამ ინიციატივას პანდემიის, შემოსავლების შემცირების პირობებში არ იზიარებს, მით უფრო, რომ მათი ანალიზით, მსგავსი ნაბიჯი საწვავის ფასის ზრდის ტენდენციას ვერ შეაჩერებს.

„რამდენადაც შეამცირებენ აქციზს, იმდენით შემცირდება საწვავის ფასი, მაგრამ მეორეს მხრივ, საგადასახადო შემოსავლებს შეუმცირებს ბიუჯეტს და ეს დილემაა: კრიზისის დროს ისედაც შემცირებული შემოსავლების პირობებში რამდენად უღირს ხელისუფლებას ამ ნაბიჯის გადადგმა? ფასების ზრდას აქციზის შემცირება ვერ შეაჩერებს, უბრალოდ —20 თეთრით გააგრძელებს ზრდას“, — ამბობს ეკონომისტი **სოსო ბერიკაშვილი.**

ეს საშინელება ეროვნული ბანკის ბრალია!

(მეორე გვერდიდან)

თუ მოსახლეობა დარჩა ამ პოზიციაზე, რომ ეკონომიკური მოთხოვნებით ხელისუფლება არ უნდა შეაწუხოს, მაშინ ხელისუფლება ასე საქმიანობას განაგრძობს. რაც შეეხება ეკონომიკურ მექანიზმებს, ყველაზე ცუდია სესხების რეფინანსირება, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა გამოიგონა. რეფინანსირებული სესხები იმიტომ გააკეთეს, რომ თითქოს ფულის მასას არ ზრდის, რადგან მოკლევადიანია, მაგრამ სინამდვილეში მოკლევადიანი არაა, ეს წლობით გრძელდება. ასე არ მოხდებოდა, ეს ფული ხალხში რომ ვრცელდებოდეს, მაგრამ ვრცელდება ისევ და ისევ ბანკებში. როდესაც 2012 წელს ახალი ხელისუფლება მოვიდა, ვფიქრობდი, რომ ამ რეფინანსირებას გააუქმებდა, მაგრამ ეს არ გააკეთეს. მეორე რიგში სახელმწიფო ტენდერებზე რეგულაციებს დავაწესებდი. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, რომლებიც შესყიდვებს ახორციელებენ, ისეთი კომპანიები იმარჯვებენ, რომლებმაც ლარი დიდი ოდენობით უნდა მიიღონ. ანუ, ბიუჯეტის ფული ისევ და ისევ სავალუტო ბირჟაზე გარბის დოლარის შესასყიდად. გამოდის, რომ ბიუჯეტიც იწვევს დოლარის გაძვირებას და ლარის გაუფასურებას. ამას ყველაფერს მთავრობა აკეთებს“, — გვითხრა **სოსო სიმონიშვილმა.**

ექსპერტის თქმით, ეკონომიკური კრიზისის ფონზე, როგორც ეკონომიკის მინისტრმა, ასევე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმაც თანამდებობა უნდა დატოვონ. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ეკონომისტი, **გიორგი პაპავა** საკვებ პროდუქტებზე ფასის ზრდას კომუნალური გადასახადების, ნავთობზე ფასის გაზრდას და ლარის გაუფასურებას აბრალებს.

„ფინანსთა მინისტრის გადადგომას ფასების ზრდასთან ვერ დავაკავშირებ. ფასების ზრდა მისი პასუხისმგებლობა არ იყო. ქვეყანაში გაცილებით დიდი გამოწვევებია. ფინანსთა მინისტრს თავისი საქმეც ბევრი ჰქონდა — იგივე ბიუჯეტი. სამწუხაროდ, პროდუქტების გაძვირებაზე ვერ გეტყვით, რა ფაქტორი მოქმედებს. ზოგადად, თებერვალთან შედარებით თუ შევხედავთ, შესაძლოა, პროდუქტებზე ფასების ზრდა გამოიწვია ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ფასების მომატებამ, რომელიც ნაწილობრივ სუბსიდირების დასრულებასაც უკავშირდება. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც კომუნალურ გადასახადებს არ იხდიდა, ახლა უკვე უწევს გადახდა და თან კომუნალურების ფასიც გაიზარდა, ამან კი ინფლაცია გამოიწვია. მეორე მხრივ, ჩვენ

კურსის გარკვეული გაუფასურების ტენდეცია გვაქვს, რაც ითარგმნება ფასის ზრდად და ეს უფრო შეეხო იმპორტირებულ პროდუქტებს. ამას ნავთობის ფასის ზრდაც ემატება. ეს არის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც ძირითადად ინფლაციას იწვევს“, — გვითხრა **გიორგი პაპავამ.**

გიორგი პაპავა გამოსავალს მთავრობის უფრო აქტიურად ჩართულობაში ხედავს. მისივე მოსაზრებით სიტუაცია 1-2 თვეში ვერ გამოსწორდება.

ცნობისთვის: „საქსტატმა“ 2021 წლის თებერვლის ინფლაციის მაჩვენებელი გამოაქვეყნა. უწყების ცნობით, ერთი წლის განმავლობაში ზეთი 34%-ით, შაქარი 14 %-ით, თევზეული 10.6%-ით, პური და პურპროდუქტები 8.7%-ით, რძის ნაწარმი 6.4%-ით გაძვირდა.

„საქსტატის“ მონაცემებით, თებერვალში წლიური ინფლაციის დონემ 3.6 პროცენტი შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათის და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 6.2 პროცენტით. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ზეთი და ცხიმი (34.3 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (14.1 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (12.4 პროცენტი), თევზეული (10.6 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (8.7 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (6.4 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (6.3 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირებულია ხილსა და ყურძენზე (-4.1 პროცენტი) და ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (-4.8 პროცენტი).

ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში ფასები მომატებულია 9.8 პროცენტით. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის (14.2 პროცენტი) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (11.5 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

ქეთი გიორგაძე

თემურ ხომერიკი: ბიუჯეტის კორექტირება 6 თვის შედეგებით უნდა მოხდეს!

მთავრობას საქმე ისე წაუვიდა, რომ **შემოსავლებში ბიუჯეტს დეფიციტი ელის და დიდი ალბათობით, ამ მხრივ იგი ვერ შესრულდება.** სპეციალისტები უკვე ითხოვენ, რომ ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი შესწორდეს. ხარჯების შემცირების გარდა, ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არ არსებობს.

„საზოგადოება და ბანკების“ პოზიციაა, რომ მნიშვნელოვანია 2021 წლის ბიუჯეტი დაკორექტირდეს.

გარდა იმისა, რომ 2020 წელს მხოლოდ ტურიზმიდან 2.7 მლრდ დოლარი დაიკარგა, შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვალუტა ქვეყანაში ძირითადად უცხოეთიდან გადმორიცხვებით და ექსპორტით (რომელიც ასევე შემცირებული იყო) შემოდიოდა, ამას თან დაერთო დიდი საგარეო ვალის აღებაც, რომელიც საბიუჯეტო ხარჯვისთვის კვლავ ლარში კონვერტირდებოდა. შესაბამისად ეკონომიკას მიეწოდა ლარი და ეროვნულ ბანკს სხვა გზა არ დარჩენოდა რეზერვების გაყიდვის გარდა. 2020 წელს დაახლოებით 900 მლნ დოლარი გაიტანა სავალუტო აუქციონზე.



იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტის დეფიციტი 2021 წელსაც ისევ დაგეგმილ 7.5%-ზე მეტად გაიზრდება, მთავრობას დაფინანსება მოუწევს საგარეო ვალით. ანუ, შემოვა უცხოური ვალუტის ნაკადი, რომელიც დარეზერვდება ეროვნულ ბანკში, ხოლო დაიხარჯება ექვივალენტი ლარში. ამ შემთხვევაში, გარდა მთავრობის საგარეო ვალის ზრდისა, დაწოლა მოხდება ლარი/დოლარის გაცვლით კურსზე, შესაბამისად, ისევე როგორც 2020 წელს, ეროვნული ბანკი იძულებული იქნება მუდმივი ინტერვენციებით ამოიღოს ლარის მასა და დოლარი მიაწოდოს ბაზარს. სხვა შემთხვევაში, გაუფასურებული კურსი აუცილებლად გადაითარგმნება მაღალ ინფლაციად და პოსტ-კოვიდურ სიტუაციაში უფრო მძიმე ტვირთად დააწვება მოსახლეობას“, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

„საზოგადოება და ბანკების“ რეკომენდაციაა, რომ დამატებით არ გაიზარდოს ბიუჯეტის დეფიციტი, რადგან ის ისედაც საკმაოდ მაღალია. უმჯობესი იქნება გადაიხედოს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, ხოლო ხარჯები, რომლებსაც არანაირი კონტრიბუცია არ შეაქვთ კოვიდსიტუაციის გაუმჯობესებაში ან ეკონომიკური გაჯანსაღების საკითხებში, შეიკვეცოს.

ბიუჯეტის კორექტირებას ეკონომისტებიც ითხოვენ. ნაწილი ფიქრობს, რომ გადაწყვეტილება დროულად არის მისაღები. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **თემურ ხომერიკი** აღნიშნავს, რომ ბიუჯეტი უნდა დაკორექტირდეს 6 თვის შედეგების შეჯამებით, მანამდე სურათი გამოკვეთილი არ იქნება.

„თავიდან, როცა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გამოქვეყნდა, გამოვთქვი მოსაზრება, რომ ბიუჯეტის კორექტირება იქნებოდა აუცილებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესს, ასევე მოსახლეობას, ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში პრობლემა შეექმნებოდა. ჩემი აზრით, ივანე მაჭავარიანი სწორედ ლარის კურსს და დაუბალანსებლად შედგენილ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს გადაყვა. ვვარაუდობდი, რომ მისი ნეგატიური გავლენა დაეტყობოდა სწორედ სამომხმარებლო ბაზარს, სადაც დაგეგმილი ინფლაციური დარგები აუცილებლად შეიცვლებოდა და ბიუჯეტის პარამეტრებში ჩადებული 3,30-იანი ნიშნული ვერ შენარჩუნდებოდა.

ეკონომიკის ბევრი ფაქტორი უაღრესად ნეგატიურია. ინვესტიციები არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა, შემოდინებები, გზავნილებს თუ არ ჩავთვლით უცხოეთიდან, მცირდებოდა. ცხადია, პერიოდულად გაზრდილი გზავნილები ვერ დააკომპენსირებდა ტურიზმიდან მიღებულ სავალუტო დანაკლისს. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბიუჯეტს დეფიციტის მხრივ დიდი პრობლემა ემუქრება და ერთ-ერთი გამოსავალია მისი კორექტირება, თუმცა ამისთვის, მინიმუმ, 6 თვის შედეგი უნდა შეჯამდეს“, — განაცხადა ხომერიკმა.

გეძა დანელია

„ნამახვანჰესი“ უნდა აშენდეს!

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში სულ 99 ჰესი ფუნქციონირებდა, მათგან 7 წყალსაცავიანი იყო, 19 – სეზონური, 73 კი – დერეგულირებული 13 მეგავატამდე სიმძლავრის. ჰიდროგენერაციის 49.5% 4.079 მლრდ კვტ/სთ მარეგულირებლიან ჰესებზე მოდიოდა, სეზონური ჰესების წილი 42.9%-ს შეადგენდა – 3.538 მლრდ კვტ/სთ. დარჩენილი 73 პატარა ჰესის ანგარიშზე კი მხოლოდ 631 მლნ კვტ/სთ ირიცხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რამდენიმე საშუალო სიმძლავრის ჰესი აშენდა, მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, დეფიციტი და შესაბამისად იმპორტის საჭიროება მხოლოდ გაიზარდა.

რა შედეგი მოგვიტანა ბოლო წლებში აშენებულმა ჰესებმა

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი – ესკო ელექტროენერგიის გენერაციის, მოხმარების, ექსპორტ-იმპორტისა და ტრანზიტის შესახებ ინფორმაციას 2006 წლიდან აღრიცხავს. 2006 წლის დეკემბერში საქართველოში ჰესების რაოდენობა 40-ს შეადგენდა. 14 წლის განმავლობაში 60-მდე ახალი ჰესი აშენდა, მაგრამ მათგან თითოეული ან მცირე სიმძლავრის იყო, ან სეზონური და არც ერთი – წყალსაცავიანი. 2006 წელს სეზონური 15 ჰესი იყო, 2020 წელს – 19, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათი რაოდენობა სულ 4-ით გაიზარდა. „ბუჟუაჰესი,“ „მარტყოფჰესი,“ „ალაზანჰესი,“ „სიონჰესი“ და „თეთრი ხევი ჰესი“ 15 წლის წინ „სეზონური ჰესების“ გრაფაში ეწერა, ტექნიკური პარამეტრების მიზეზით მათ მოგვიანებით „სეზონური ჰესების“ კატეგორიაში გადაინაცვლეს.

2006 წლის შემდეგ საქართველოში „ლარსი ჰესი,“ „ფარავან ჰესი,“ „დარიალ ჰესი,“ „ხელვაჩაური ჰესი 1,“ „“შუახევ ჰესი,“ „კირნათი ჰესი,“ „ოლდენერჯი ჰესი,“ „მესტიაჭალა ჰესი 1“ და „მესტიაჭალა ჰესი 2“ აშენდა. მათ 2020 წელს ჯამში 1.520 მლრდ კვტ/სთ გამოუმუშავეს, მთელი ჰიდროგენერაციის 18%-ზე მეტი.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთადერთი საშუალო სიმძლავრის ჰესი რომელიც 2006 წლამდე აშენდა „ხადორჰესი“ იყო, რომელიც ექსპლუატაციაში 2004 წელს შევიდა. მან 2020 წელს 108 მლნ კვტ/სთ გამოიმუშავა.

თუ 2020 წლის შედეგებს ავიღებთ. 1 წყალსაცავიანი ჰესის საშუალო წლიური გამომუშავება 583 მლნ კვტ/სთ-ა, სეზონურის – 186 მლნ კვტ/სთ, ხოლო მცირე სიმძლავრის – 8.7 მლნ კვტ/სთ. ეს რიცხვები ყოველწლიურად იცვლება. გასულ წელს კლიმატური პირობები უკიდურესად არახელსაყრელი იყო, 2010 წელს პირიქით. მაშინ მხოლოდ ერთმა ენგურჰესმა 4.3 მლრდ კვტ/სთ გამოიმუშავა – 5.4%-ით მეტი ვიდრე ყველა მარეგულირებლიანმა ჰესმა ერთად 2020 წელს. ზუსტად იმავე 7-მა სადგურმა 2010 წელს 6.525 მლრდ კვტ/სთ გამოიმუშავა, 60%-ით მეტი ვიდრე 2020 წელს, ამ შემთხვევაში 1 ჰესის წილად უკვე 932 მლნ კვტ/სთ მოდის.

გარდა იმისა, რომ წყალსაცავიანი ჰესი სეზონურთან შედარებით საშუალოდ 3.1-ჯერ, ხოლო დერეგულირებულთან შედარებით 67-ჯერ მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, მას სხვა პლუსებიც გააჩნია, კერძოდ ის სტაბილური მომარაგების გარანტორია. მის ჩამანაცვლებლად შეიძლება მხოლოდ თბოსადგური ან ატომური ელექტროსადგური განვიხილოთ. საქართველო ბირთვულ ენერგიას არ მოიხმარს, თბოსადგურები კი იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე მუშაობენ. ბუნებრივი გაზი, გარემოს 2-ჯერ უფრო ნაკლებად აზიანებს, ვიდრე ნახშირი, მაგრამ 10-ჯერ უფრო მეტ ნახშირორჟანგს გამოყოფს ვიდრე წყალსაცავიანი ჰესი. წყალსაცავიანი ჰესი გარკვეული რაოდენობის CO_2-ს მხოლოდ მშენებლობის პროცესში გამოყოფს და შემდეგ ძალიან მცირეს ოპერირების პირველ წლებში.

საქართველოში ეკონომიკურად მომგებიანი ქარის ენერგიის პოტენციალი 1350 მეგავტს, ხოლო მზის ენერგიის 500 მეგავატს შეადგენს, მაგრამ მათი ჩართვა ქსელში სრულყოფილად მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ ახალი დიდი ჰესები აშენდება, სხვა შემთხვევაში, მათი არასტაბილურობის გამო პოტენციალი მნიშვნელოვნად შემცირდება. ენერგიის შემნახველი ბატარეები გარდა იმისა რომ ძვირია, რაც აუცილებლად აისახება ტარიფზეც, არაეკოლოგიურიცაა, როგორც მათი წარმოება, ასევე შემდგომი უტილიზაცია.

ბოლო წლებში აშენებული ჰესებიდან, სიმძლავრისა და გამომუშავების მიხედვით შეიძლება გამოირჩეს 3: „დარიალჰესი,“ „შუახევჰესი“ და „ფარავან ჰესი.“ მათ 2020 წელს ჯამში 1.030 მლრდ კვტჰსთ გამოიმუშავეს.

87 მეგავატი სიმძლავრის **„ფარავანჰესი“** ექსპლუატაციაში 2014 წლის ოქტომბერში შევიდა. მისი მშენებლობა $200 მლნ დაჯდა. 2020 წელს ჰესმა 325 მლნ კვტ/სთ, 2015-2020 წლების კი ჯამში 2.230 მლრდ კვტ/სთ გამოიმუშავა. საშუალო წლიური გამომუშავება მიმდინარე პერიოდში – 372 მლნ კვტ/სთ. ყველაზე ნაყოფიერი ჰესისთვის 2016 წელი გამოდგა, როდესაც მან ქსელს 428 მლნ კვტ/სთ მიაწოდა, 2020 წელთან შედარებით 32%-ით მეტი. აღსანიშნავია, რომ მცირე პროტესტის მიუხედავად, „ფარავანჰესის“ მშენებლობას განსაკუთრებული უკმაყოფილება არ მოჰყოლია.

108 მეგავატი სიმძლავრის **„დარიალჰესმა“** ელექტროენერგიის გამომუშავება 2016 წლის ნოემბერში დაიწყო, ოფიციალურად კი 2017 წლის აპრილში გაიხსნა. ჰესის საინვესტიციო ღირებულებამ $123 მლნ შეადგინა. ჰესმა 2020 წელს – 445 მლნ კვტ/სთ, 2017-2020 წლებში კი 1.223 მლრდ კვტ/სთ, საშულოწლიურად 306 მლნ კვტ/სთ გამოიმუშავა, რაც დაგეგმილზე – წელიწადში 510 მლნ კვტ/სთ მთელი 40%-ით ნაკლებია. „დარიალჰესი“ საპროექტოსთან მიახლოებულ სიმძლავრეზე მხოლოდ 2020 წელს გავიდა, ენერგოპლატფორმის განმარტებით, ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც ჰესთან შესაბამისი ელექტროგადამცემი ხაზი დაგვიანებით იქნა მიყვანილი. გარემოსდამცველები „დარიალჰესს“ თერგის წყლის დაშრობაშიც ადანაშაულებენ. ჰესის მესვეურები კი აცხადებენ, რომ მდინარის ნაწილის მხოლოდ მცირე მონაკვეთია მილებში მოქცეული და სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოები, სადაც თითქოს წყალმა მნიშვნელოვნად დაიკლო რეალურად წელიწადის სხვადასხვა დროსაა გადაღებული, რაც მათ შესადარისად უვარგისს ხდის.

„დარიალჰესთან“ შედარებით კიდევ უფრო მეტი პრობლემა **„შუახევჰესს“** შეექმნა. მშენებლობა ახალი დაწყებული იყო, როდესაც მესამე პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა განაცხადა, რომ მის მიერ ორჯერ გახსნილი ჰესი, კალაძემ (იმდროინდელმა ენერგეტიკის მინისტრმა) მესამედ გახსნა. (იგულისხმება მშენებლობის დაწყება). დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მძლავრი 187-მეგავატიანი ჰესი 2017 წელს გაიხსნა. მისი სადაწნევო გვირაბი 38 კმ-ის სიგრძის იყო – ევროპაში მეორე. პროპლემები სწორედ ამ გვირაბს შეექმნა და რამდენიმე ადგილას ჩამოინგრა. ინვესტორს $400 მლნ-იანი ღირებულების პროექტზე $100 მლნ-ზე მეტის დამატება დასჭირდა. შეცდომის მიზეზად არასაკმარისი გეოლოგიური კვლევები დასახელდა. ჰესი ექსპლუატაციაში განმეორებით მხოლოდ 2020 წელს შევიდა და მან 258 მლნ კვტ/სთ გამოიმუშავა.

აშენებულის გარდა ეკონომიკურად მომგებიანი აუთვისებელი ჰიდროპოტენციალი, საქართველოს კვალობაზე საკმაოდ დიდია და 30 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენს. უახლოეს პერიოდში მხოლოდ რამდენიმე ჰესის აშენება-დასრულება იგეგმება. დარჩენილი პოტენციალი კი იკარგება.

იმ მშენებარე ჰესებიდან, რომელთა გამომუშავებაც წლიურად 100 მლნ კვტ/სთ-ს აღემატება, ყველაზე მალე 53 მეგავატიანი **„მტკვარი ჰესი“** უნდა დასრულდეს. მშენებლობა 2019 წელს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 3 წლით 2022 წლამდე გადავადდა. მისი საინვესტიციო ღირებულება $152 მლნ-ს, სავარაუდო წლიური გამომუშავება კი 252 მლნ კვტ/სთ-ს შეადგენს.

„ონის ჰესების კასკადიდან“ შემორჩენილი 122-მეგავტიანი **„ონის ჰესი 1“** წესით 2024 წელს უნდა გაიხსნას. მისი საინვესტიციო ღირებულება 4185 მლნ-ს, სავარაუდო წლიური გამომუშავება კი 440 მლნ კვტ/სთ-ს შეადგენს.

დაკნინდა **„ცხენისწყლის ჰესების კასკადის“** პროექტიც და 4-დან მხოლოდ 1 ჰესიღა დარჩა. ამჟამინდელი გეგმის თანახმად 192 მგვტ სიმძლავრის **„ლენტეხის ჰესის“** მშენებლობა 2027 წელს უნდა დასრულდეს და მან ქსელს წლიურად 668 მლნ კვტ/სთ მიაწოდოს. პროექტის საინვესტიციო ღირებულება $385 მლნ-ს შეადგენს.

თავდაპირველი გეგმის მიხედვით „ცხენისწყლის ჰესების კასკადს“ – 1.740 მლრდ კვტ/სთ, „ონის ჰესებს კასკადს“ კი 790 მლნ კვტ/სთ უნდა გამოემუშავებინა.

დიდი წყალსაცავიანი ჰესებიდან დასრულების ყველაზე მაღალი შანსი **„ნენსკრაჰესს“** გააჩნია. 280-მეგავატიანი სადგურის მშენებლობა 2015 წელს დაიწყო და 2021 წელს უნდა დასრულებულიყო, ელექტროენერგიის გამომუშავება კი უკვე 2019 წელს უნდა დაეწყო. წყალსაცავის მოცულობა 182 მლნ კუბურ მეტრს შეადგენს, „ენგურჰესთან“ შედარებით 6-ჯერ ნაკლებს, ინვესტიციის მოცულობა – $1 მლრდ-ს. ჰესს კორეული K Water აშენებს. 2015-2019 წლებში კორეულმა ინვესტიციებმა ჯამში $150 მლნ შეადგინა, თუმცა ჰესის მთავარი კომპონენტის კაშხლის მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა.

დაიწყო და შეჩერდა კასკადური ტიპის **„ნამახვანჰესის“** მშენებლობა. ქვმო ნამახვანის სიმძლავრე 333 მგვტ უნდა ყოფილიყო, ზემო ნამახვანის – 100 მგვტ, მათი ჯამური წლიური გამომუშავება – 1.560 მლრდ კვტ/სთ. საინვესტიციო ღირებულება კი – $800 მლნ.

ჰესის მშენებლობამ ქუთაისში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები გადაფარა. 130 დღეზე მეტი ადამიანებს კარვებში ეძინათ. ზოგს ტვიშის განადგურების საფრთხე აშფოთებდა, ზოგს ჰიპოთეტური 34-მეტრიანი ტალღის, ნაწილს ტარიფი არ მოსწონდა, ნაწილისთვის კი უბრალოდ თურქული კომპანია აღმოჩნდა მიუღებელი.

29 მარტს პრემიერმა ღარბიაშვილმა განაცხადა, რომ მშენებელ კომპანიასთან შეთანხმების საფუძველზე, კაშალის სამშენებლო სამუშაოები 9-12 თვით შეჩერდებოდა.

ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავას განმარტებით თურქულ კომპანის 280 ოჯახზე კომპენსაციის მიზნით უკვე გაცემული აქვს 34 მლნ ლარი, რაც ოჯახზე საშუალოდ 121 400 ლარი – 35 800 აშშ დოლარია.

სიმძლავრითა და მნიშვნელობით ყველაზე დიდი – „ხუდონჰესის“ საკითხი უკვე აღარც განიხილება. თეორიულად 702 მეგავატი სიმძლავრის სადგურს 1.5 მლრდ კვტ/სთ საკუთარი ელექტროენერგია უნდა გამოემუშავებინა, „ენგურჰესის“ უიაფესი – 1.86 თეთრიანი, წარმადობა კი 500 მლნ კვტ/სთ-ით გაეზარდა. ჰესს 1.2 მლრდ-ის ინვესტიცია უნდა მოეზიდა. ამ ეტაპისთვის პროექტის ადგილიდან დაძვრის რაიმე წინაპირობა არ არსებობს.

ბოლო პერიოდში გავრცელდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ახალი ჰესების მშენებლობა საჭირო არაა, და ძველი ჰესების რეაბილიტაციით მათი წარმადობა გაიზრდება. რებალიტაცია წარმადობას ზრდის, მაგრამ ბევრით ვერა. „ენგურჰესის“ შემთხვევაში ეს 100-120 მლნ კვტ/სთ-ია. მისი საპროექტო სიმძლავრის 3%-ზე ნაკლები. პანდემიამდე ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა წლიურად 3%-ს აჭარბებდა და ჰესების წარმადობის ერთჯერადი 3%-ით ან თუნდაც 5%-ით გაზრდა მხოლოდ ზღვაში წვეთი იქნება.

ბევრი პატარა ჰესი ერთ დიდ ჰესს ვერ ჩაანაცვლებს, ვერც ძარისა და მზის სადგურები, თუმცა მათი კომბინაცია ჯამურ გენერაციას მნიშვნელოვნად გაზრდის და ყველა მიმართულებით ენერგოდეფიციტურ ძვეყანას, ელექტროენერგიის კუთხით საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და ექსპორტის საშუალებას გაუჩენს.

გიორგი ელიზბარაშვილი

კიდევ თორმეტი ეკომიგრანტი ბინით დაკმაყოფილდება

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ კიდევ 12 ოჯახს სახლს შეუსყიდის. ინფორმაცოას თავად სააგენტო ავრცელებს.

აღნიშნულ ოჯახებს, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, საცხოვრებელი ფართის შერჩევისთვის ერთთვიანი ვადა ეძლევათ. სააგენტო ეკომიგრანტ ოჯახებს სახლსა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, 25 000 ლარის ფარგლებში, შეუძენს. 2021 წელს, სააგენტო უსაფრთხო გარემოში 200-ზე მეტ ეკომიგრანტ ოჯახს განასახლებს.

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

1.1 **ნეიროფიზიოლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.2 **მემბრანოლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.3 **ბიოქიმიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ბ“);

1.4 **ბიოქიმიური ნეიროფარმაკოლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ბ“);

1.5 **თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და მეტაბოლიზმის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.6 **ნეიროტოქსიკოლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.7 **გამოყენებითი რადიაციული კვლევების ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.8 **რადიობიოლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.9 **ბიოფიზიკის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.10 **ქცევისა და კოგნიტიურ ფუნქციათა ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.11 **ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.12 **ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.13 **გენომის სტრუქტურის და ფუნქციის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.14 **რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.15 **მხედველობის ფიზიოლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.16 **ბიოინფორმატიკის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.17 **ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.18 **ტკივილის და ანალგეზიის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ა“);

1.19 **თავის ტვინის ულტრა და ნანო არქიტექტონიკის ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „ბ“);

1.20 **რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ-ანალიტიკური სერვისების ლაბორატორია** - ლაბორატორიის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (კატეგორია „a“);

2. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.

4. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სახელმწიფო ენასთან ერთად ფლობს ერთ-ერთ უცხო ენას (სასურველია ინგლისური), აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გააჩნია სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება კონკრეტული ლაბორატორიის ძირითადი თემატიკის მიმართულებით.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

5.1 განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (ივსება ადგილზე);

5.2 განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

5.3 უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

5.4 დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

5.5 კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

5.6 გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებიდან ერთ-ერთის ასლი, რომელიც უკეთ ასახავს კონკურსანტის მეცნიერული მოღვაწეობის წარმატებებს;

5.7 ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

5.8 ლაბორატორიის მომავალი განვითარების ხედვა-პროგრამა;

6. ღია კონკურსის საფუძველზე ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო, ამტკიცებს დირექტორი და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 5 წლის ვადით.

7. საბუთები მიიღება სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, მისამართი: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, სამდივნო.

8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2021 წლის 21 აპრილის 18:00 საათამდე.

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2021 წლის 26 აპრილს.

საკონტაქტო პირები:

- ნინო ემუხვარი (ელ.ფოსტა: ninaem@mail.ru) ;
- მაია მახარაძე (ელ.ფოსტა: maiamakharadze11@gmail.com);
- თამარ მათითაიშვილი (ელ.ფოსტა: matitaishvili.t@gmail.com).

საერთაშორისო კვლევები - ოპოზიციის წინააღმდეგ!

მომავალ კვირას რომ არჩევნები იყოს, გამოკითხულთა 35 პროცენტი „ქართულ ოცნებას“ მისცემდა ხმას

International Republican Institute
IRI
advancing democracy worldwide

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევების მიხედვით, კითხვაზე, კვირას რომ არჩევნები იყოს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 35 პროცენტი პასუხობს, რომ ხმას მისცემდა „ქართულ ოცნებას“, „ნაციონალურ მოძრაობას“ ასახელებს გამოკითხულთა 18 პროცენტი, „ევროპული საქართველოს“ კი სამი პროცენტი.

ასევე, გამოკითხულთა სამი პროცენტი ხმას მისცემდა „სტრატეგია აღმაშენებელს“, „ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს“ ხმას მისცემდა ორი პროცენტი, „პატრიოტთა ალიანსს“ ასევე ორი პროცენტი,„ლეიბორისტულ პარტიას“ – ორი პროცენტი, პარტიას „მოქალაქეები – ალეკო ელისაშვილი“ – ორი პროცენტი, „ლელოს“ (მამუკა ხაზარაძე-ბადრი ჯაფარიძე) – ერთი პროცენტი.

საველე სამუშაოები ჩატარდა IPM-ის მიერ. მონაცემები შეგროვდა სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით, პირისპირ ინტერვიუს გზით. შერჩევა მოიცავდა საარჩევნო ხმის უფლებისა და ასაკის მქონე 1500 რესპონდენტს. ცდომილების ზღვარი წარმოადგენს +/- 2.5 პროცენტს, გამოპასუხების მაჩვენებელი – 75%. კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით.

ინსტიტუტების რეიტინგებში პირველ ადგილზე ჯარია, მეორეზე - ეკლესია, მესამეზე - მედია

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევის მიხედვით, ინსტიტუტების რეიტინგში პირველ ადგილზე ჯარია. გამოკითხულთა 82% ჯარის საქმიანობას დადებითად აფასებს, ხოლო 12% – უარყოფითად.

გამოკითხულთა 79% დადებითად აფასებს ეკლესიის საქმიანობას, უარყოფითად კი – 14%. ამასთან, მედიის საქმიანობას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 64%, ხოლო 30% – უარყოფითად.

გამოკითხულთა 60% ოპოზიციის ნაწილის მიერ საპარლამენტო საქმიანობის ბოიკოტირებით აღშფოთებულია!

მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის შეუთანხმებლობის ფონზე, გამოკითხულთა 60% არ უჭერს მხარს ოპოზიციური პარტიების მიერ საპარლამენტო საქმიანობის ბოიკოტირებას, მათ შორის 42% – „სრულიად არ უჭერს მხარს“ და 18 % – „გარკვეულწილად არ უჭერს მხარს“, – ამის შესახებ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაშია აღნიშნული.

მონაცემები შეგროვდა სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით, პირისპირ ინტერვიუს გზით. შერჩევა მოიცავდა საარჩევნო ხმის უფლებისა და ასაკის მქონე 1500 რესპონდენტს. მონაცემები გაკეთდა ასაკის, გენდერის, რეგიონისა და დასახლების ზომის შესაბამისად. ცდომილების ზღვარი წარმოადგენს +/-2.5 პროცენტს, გამოპასუხების მაჩვენებელი – 75 პროცენტი. კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მეშვეობით.

გამოკითხულთა 87% მიიჩნევს, რომ საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობა აქვს

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 87% მიიჩნევს, რომ საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობა აქვს. 85 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას.

საველე სამუშაოები ჩატარდა IPM-ის მიერ. მონაცემები შეგროვდა სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით, პირისპირ ინტერვიუს გზით.

კვლევა ჩატარდა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევების ცენტრის სახელით, ბალტიის კვლევებისა და გელაპის ორგანიზაციის წარმომადგენლის, დოქტორი რასა ალიშაუსკინეს მიერ, 2021 წლის 2-26 თებერვლის პერიოდში.

„ფსიქიატრიულიდან გამოქცეული შალვას“ ბოდვები

ადამიანი, რომელიც დაიჯერებს, რომ „ლეიბორისტულ პარტიას“ შეიძლება ჰქონდეს 1 ან 2%, უნდა მოთავსდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ამის შესახებ „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა IRI-ს კვლევის შედეგების კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტისა და NDI-ის კვლევა ყოველთვის არის მიკერძოებული, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით გაჟღენთილი.

„ეს ორგანიზაციები, რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ემსახურებოდნენ ჯერ შევარდნაძეს, შემდეგ სააკაშვილს, ახლა ივანიშვილს და მომავალში ვინც იქნება, შეეცდებიან, რომ მას მოემსახურონ. უნდა დამთავრდეს ეს პოლიტიკა და ეს ტაქტიკა ან აღნიშნულმა ორგანიზაციებმა გადაინაცვლონ სხვა განვითარებად, აფრიკისა და აზიის ქვეყნებში, იქ, სადაც მეტი სამუშაო და გასაქანი ექნებათ.

IRI-სა და NDI-ის გამოკვლევა არის ყოვლად არაობიექტური ყოველთვის. ფორმალური ადამიანი რომ დაიჯერებს, რომ „ლეიბორისტულ პარტიას“ შეიძლება ჰქონდეს ერთი ან ორი პროცენტი, სულ მცირე, მას უნდა აეკრძალოს მუშაობა სოციალური გამოკვლევების დარგში ან მაქსიმუმ მოთავსდეს სამკურნალოდ გარკვეულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, შინაური იქნება თუ გარეული“, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

დავითგარეჯა ჩემია!

ხშირად მსმენია, ეს კაცი ძაღლივით ერთგულიაო!.. მეც ერთგული მეგობარი მრავლად მყოლია, ლამის საუკუნე გამოჯანგულს, ჯიგრიანი თანამდგომი თუ არ მეგულებოდეს, სიცოცხლე რისთვის მინდა ამ დალოცვილ მიწაზე.

ძაღლი... ძაღლის ერთგულების რა მოგახსენოთ, ისე კი, ბავშვობაში ძაღლს კი ავუტირებივარ, ცრემლები მაყრევინა, აი, ერთხელ სოფელში, საიდანღაც ცოფიანი შემოვარდა, ჩემი საყვარელი მურია მას არც კი გაკარებია, მაგრამ ნეტარხსენებულ ბაბუას მაინც შეეშინდა, პატარები ხუთნი ვიყავით, ჰოდა, სახლს უკან ხევში რომ წაიყვანა და თოფი დაუმიზნა, ეგეთი ვიღრიალე, ლამის ცა ჩამოვაქციე.

ქალაქში კი, აბა აქ, მაღალ სახლში ძაღლი ვერ წარმომიდგენია. ეზოში კი მრავლად არიან, ჰოდა, იმ დილით, ჩვეულებრივ, ჯერ კიდევ ბინდ-ბუნდში რომ გამოვედი, იაღლუჯის დასაპყრობად, წინ ძაღლუკა შემომეფეთა, ერთი ამხედა, ეგრევე ამედევნა. მეზობლებმა ფერის გამო ბაიდენა დაარქვეს, მე კი ცუგოს ვეძახი. ის იყო და ის, ყოველ ცისმარე თანამგზავრი გამიხდა, ამიერიდან ერთად დავდივართ, რაც მართალია, მართალია, მარტო სიარული არცთუ სასიამოვნოა, ჰოდა, ცუგო რომ ამემგზავრა, ისიც ამ ღამის ბინდ-ბუნდში, ფრიად მესიამოვნა.



„როცა გეშინია, ყველაზე კარგია საფრთხის წინ პირისპირ დადგე და უმალ ზურგს უკან სითბოსა და იმედს იგრძნობ.“

ესტეფ ლუისი

ჯერ მელიქიშვილის ქუჩა უნდა გადავჭრათ, კერძო სახლებით შემოქობილი, სადაც სხვა ძაღლები, ბომბორები, ზოგიც მონადირის იარლიყიანი, ასევე უპატრონო სხვა ჯიშ-ჯილაგის შემოგვეგებნენ. თავიდან მათაც იუცხოვეს ჩემი ცუგო, აუხირდნენ კიდევაც, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ცუგომ ყველასთან გამონახა საერთო ენა. იქიდან თბილისის ქუჩას გავუყევით, რომელზეც ამ ორი თუ სამი წლის წინ დარგული კიპაროსები საპარადო ჯარისკაცებივითაა ჩამწკრივებული, მერე ოდესღაც, ათასი წლების წინ, დიდი საქარავნო გზაც რომ გადიოდა, ახლა საგულდაგულოდ მოკირწყლული გადავაკეთეთ და იალღუჯის შეკვალთულ ბილიკს შევუყევით.

არა და არც ენით, თვით ყოვლისშემძლე კალმითაც შეუძლებელია იმ სიამის აღწერა, ვარსკვლავთ სხივთა აელვარებისას სხეულში რომ გაიჟრიალებს, ფრთებს შეგასხამს, ჰოდა, „შენი აღმართი მიმაჩნდა ვაკედ“ და, პოეტისა არ იყოს, ერთბაშად სული აგიცქრიალდება.

ჩემი იალღუჯი, ამ ექვსი ათეული წლის წინ, ლამის ერთი ნახვით შემიყვარდა, როდესაც ქალაქის ამ ახალ უბანში გადმოვსახლდი, აქვე ისიც უნდა ვთქვა, ობოლი ბიჭი, იმ სასტიკ წლებში; მამა ომში დაღუპული, იმხანად რუსთავში, ჯერ კიდევ ხუთი ათასი ომში გასაწირად არ გაიმეტა და მეტალურგად გამოაწრთო, მათ ლაშქარს შევეკედლე, არადა, მანამ ძეხორციელს არ ახსოვდა უდაბნოში ჩანთქმული აქაურობა. სტალინმა კი იცოდა, თუმცა როგორ არა, ერთხელაც, ეს უკვე ჟურნალისტს, დიდ კონსტანტინეს, „დიდოსტატის მარჯვენის“ და სხვა მრავალი უშესანიშნავესი წიგნების ავტორს. „კოლხურ კოშკში“ რომ ვესტუმრე, გაიხსენა, ტურებზე და მგლებზე საკურდღლაოდ დავდიოდი, ძეძვნარი და ხრიოკი უდაბნო იყოო...

მერე, ისიც კი გაგვახსენდა, რომ ხალიბთა მემკვიდრენი ვიყავით, იმ გონიერი და მამაცი ხალიბებისა, გასაოცარი სიმტკიცის ფოლადს რომ აწრთობდნენ, ასევე საოცრად პირბასრ ხალიბურ ხმალს ჭედავდნენ, ის რომ არა, თურქი-სელჯუკები ერთიანად ამოგვძირკვავდნენო. აკი რუსთავი ოდესღაც დიდი ქალაქი, საქართველოს აღმოსავლეთის ციხე-ბურჯი რომ იავარყვეს მტრებმაო. ის კი არა, ნეტარი ლეონტი მროველი იმაშიც გვარწმუნებს, რომ დიდ ალექსანდრე მაკედონელს წინ პირველი აქაურები აღუდგნენ და საქართველო დარბევას გადაარჩინესო.

არც იმის დავიწყება ეგების, რომ რუსთავი კუხეთის დედაქალაქი იყო, აი დიდი შოთა რომ იყო რუსთაველი, მისი ოდაბადე, ამაზე მეტი აბა რითი უნდა იამაყო.

არადა, ჩემს სიყმაწვილეში, ეს მთვარეც სულ სხვა იყო, მასში იმდენი ოცნება ბუდობდა, იმდენი ზღაპარ-მართალი, სასწაული, მთელი სიცოცხლის საგზალს რომ ავარდისფერებდა.

თითქოს ფიქრებში ჩამწვდაო, ცუგო-ბაიდენა ჩემ წინ ჩაცუცქდა, ცას ახედა და მთვარეს შეჰყეფა. ნეტავი მაცოდინა, უცებ რა უთხრა მთვარეს ცუგომ და იქიდან რა სიგნალი მიიღო, რადგან ეგრევე კუდის ქიცინით წინ გაიჭრა.

რატომღაც მზერა სავარსკვლავეთოს ვერც მოვაცილე, მივიაღმართებდი და თან ჩემს მურუცხს ვეძებდი უკვე ლურჯად შეფერილ ცაზე. ლამის საუკუნე მივითვალე, მაგრამ ბედის ვარსკვლავი ვერა და ვერ მოვიხელთე. თუმცა მარტო მეტალურგობა არ იყო ჩემი ტვირთი, ბავშვობიდანვე თავში ლექსები მიღიტინებდა, ჰოდა, ამჯერად ჟურნალისტობას შევეჭიდე.

აბა რა დამავიწყებს უმანკოდ დაღვრილ სისხლიან 9 მარტს, სტალინის ძეგლთან, ტყვიებს სასწაულებრივ გადავურჩი. აი, რუსთაველზე დახოცილი ახალგაზრდები ჩემს მეხსიერებას ისე ჩაექსოვა, მისი წაშლა ვერც ჟამმა და ვერც დროთა ცვალებადობამ ვერ შეძლო.

არადა, ის სისხლი სტალინისთვის კი არა, სამშობლოსთვის დაიღვარა — თუმცა ის არ ყოფილა მამულისთვის პირველი მსხვერპლი... შელმართზე ფიქრები და მოგონებები ისე ამედევნენ, ცუგოსაც კი ბევრად აასწრეს. მორიგ ბექობზე საიდან სადაო, და იმხანად, გამორჩეულად კეთილშობილი ქვეყნის თავკაცი ვასილ მჟავანაძე ამიმზიურდა.

კი, ჭეშმარიტად დიდი ქართველი იყო.

ერთხელაც, გარდაბნის იმჟამინდელი პირველი თავკაცი, თავისი მრისხანებით ცნობილი ალექსანდრე ბექაური მირეკავს, ეგ რა გადაცემა გქონდა რადიოში, ამხანაგ ვასილ პავლეს ძეს მოუსმენია და დღეს ჩვენთვის მოულოდნელი სტუმრობა გადაუწყვეტია, ჰოდა, სასწრაფოდ ჩამოდიო.

საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს და უმდიდრეს რაიონში მჟავანაძის, ასე სახელდახელო ვიზიტი იქაურებისთვის დიდად სასიკეთო გამოდგა. ეს ცალკე საუბრის თემაა, იმას კი ვიტყვი, რაიონი გააქართულა და გააძლიერა. მე კი იმ დღეს ნაკრძალში, სამეფო სუფრაზე პირველად დავაგემოვნე ირმის მწვადები.

იმხანად გარდაბნის ნაკრძალში ირმები მრავლად იყო, ის კი არა, უტვინო და ვერაგმა ნიკიტა ხრუშჩოვმა აქ მოინადირა ირემი, ოღონდ ხეზე საგანგებოდ მიბმული.

შემდგომში, ეს გვიან, ჩემმა ძველმა რაჭველმა მეგობარმა, ვალერიან გრძელიშვილმა იმჟამად ყოფილ საბჭოთა კავშირში აღიარებულმა კულინარმა მოლხენაც შემაყვარა, მისი ბევრ თაოსნობით საპატიო სტუმარს ვუმასპინძლე, ბევრი ღირსსახსოვარი სუფრა გაგვიშლია. აბა, უპურმარილოდ რა ქართველი ხარ, მერე და როგორ არ მოვიგონო დიდ გალაკტიონთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, იოსებ ნონეშვილთან, აკაკი ხორავასთან შეხვედრები... გიორგი ლეონიძემ ხომ მარტენში პირველი ქართული ფოლადის გამოშვებას დიდებული ლექსი უძღვნა, რომელიც საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულთა ხალხმრავალ მიტინგზე დააქუხა. იმ წლებში არ დარჩენილა არც ერთი თვალსაჩინო მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ხელოვანი, რუსთავს რომ არ სწვეოდა... მსოფლიოში აღიარებულ ხუთგზის ჩემპიონ, დიდებულ ქართველ ქალბატონს, ნონა გაფრინდაშვილსაც ჭადრაკში „შეევჯიბრე“, აბა, არ უნდა ვიამაყო?!

უნეტარეს ილია მეორეს რომ უდიდესი წვლილი და ამაგი მიუძღვის რუსთავში პირველი ეკლესიის მშენებლობაში, უფალთანაც ხომ მან მაზიარა, არადა, მანამ ერთი კარაპეტა, ჩვენი მოქალაქე, აქაურობა საოხუნჯოდ რომ ჰქონდა, ანგლობდა სეთ ქალაქს რა ვუთხარი, ერთი ეკლესია რომ არ გაეჩნიაო.

თუმცა კი გვქონია თურმე, ნეტარხსენებულმა ჟიული შარტავამ რომ მოიძია და უძველესი ნასაყდრალიც აღმოაჩინა. არადა, არ დააცალეს, მურტალოებმა.

ივარგა მისმა მემკვიდრე თეიმურაზ ხაზარაძემ და აღმშენებელობაც იკისრა.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, რუსთაველებთან სტუმრობა თითქოს ყველასთვის სავალდებულო იყო, ჯავარჰარლარ ნურუ, მისი დიდებული ქალიშვილი, ინდოეთის მეფედ კურთხეული ინდირა განდი, ირანის შაჰი ფეჰლევი... არ დარჩენილა არც ერთი ქვეყნის მაღალჩინოსანი, რომელიც არ გვწვეოდა, მათთან საუბარს არ ვზიარებოდი. ერი ხომ ამაყობდა მეტალურგიის აღორძინებით, ისიც იავარქმნილ მიწაზე, როგორც მემატიანე დიდი ტკივილით გვამცნობს, „აწცა, ოხერ არსო“, აი, ამ წყლულებიანის, ტკივილიანი გულის მისასალბუნებლად ვიღვაწეთ რუსთაველთა პირველთაობელებმა.

კიდევ ერთი ბორცვი დავლაშქრეთ მე და ცუგომ, თავი ავწიე, თითქოს აგერ აქვეა მთავარი ქედი, თუმცა თავზემოთ ვარსკვლავები ისევ ისე ციმციმებენ, მთვარე კი მეგრული ხაჭაპურივით ბრტყელი და მრგვალია, ნეტარხსენებული დედაჩემი რომ გამოაცხობდა... უკვე იცრიცება სიბნელე, ფერს კარგავს და ირგვლივ ვარსკვლავები ცოტა ხნის წინ სადღაც უსასრულობაში ბრდღვიალ-მოკიაფენი იძირებიან.

ბერლინში ერთ ჭარმაგ, მოხუც ქართველს გადავეყარეთ, ოთხნი ვიყავით, ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

— ქართველები ხართ ბიჭებო, თქვენ გენაცვალეთ, — იბღავლა და ცრემლების ღაპაღუპით სათითაოდ გადაგვეხვია:

— ოჰ, როგორ მომენატრა ჩემი სამშობლო. თქვენ არ იცით, როგორ მტკივა სამშობლო.

ომისას ტყვედ ჩავარდნილა, იქ ჩარჩენილა...

ახლა ვარსკვლავებმა ის ქვეყნებიც მომატარა, სიჭაბუკეში რომ ვსტუმრობდი.

ვიეტნამში ძაღლის „ხრუსტიაში“ შემომაპარეს კერძად.

თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, ცუგომ ჯერ მე, მერე ცას შეხედა, აწკმუტუნდა...

ახლახან ჩემს მშობლიურ, საუკუნოვან „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში, დემოგრაფი ანზორ თოთაძე ძაღლების მავნებლობაზე რომ დამთრგუნველი წერილები გამოაქვეყნა, შეშინებულმა ბერბიჭა მეზობელს მივაშურე, მას სასწაული ჯიშის უცნაური ნაგაზი ჰყავს, დათქმულივით სადარბაზოსთან შემხვდა, თავისი ერთგული მეგობარი სასეირნოდ მიყავდა.

გაზეთი შევაჩეჩე, გაოცებით შემომხედა, მერე სასწრაფოდ გადაიკითხა.

— აუჰ, ძაღლი თუ ასე საშიში იყო, არ ვიცოდიო, ჰოდა, ნაგაზს უცებ დაავლო ხელი, გულთან მიიხუტა და შინ მიტრიალდა.

სიფრთხილეს მაინც თავი არა სტკივა, — მეც შევშფოთდი, მაგრამ ჩემი ერთგეული ცუგო-ბაიდენას ვერა და ვერ გავიმეტებ.

ისე, ჩემი გაზეთით ათიოდე ნაცნობს ჩამოვუარე.

ბარემ აქვე ვიტყვი, ჩემმა გაზეთმა, რომელსაც ადრე „კომუნისტი“ ერქვა და რომელიც მარტო რუსთავში ათასობით ხელმომწერს შინ მისდიოდა, მან მეორე სიცოცხლე მაჩუქა, თორემ 90-იან წლებში ჩვენი ერთადერთი ტელე-რადიომაუწყებლობა ლამის დაიხურა, მეც მრავალზე მრავალ ჩემს კოლეგასთან ერთად ქუჩაში აღმოვჩნდი.

ჰოდა, ჩემი კალმის ნაღვაწი ამ გაზეთის ფურცლებზე რომ გაჯეჯილდა, ხელახლად დავიბადე, და აი, ახლა, აქედან, ჩემი იაღლუჯიდან, ამ ცისკრის ჟამს მადლობა მის შემოქმედთ.

ჰო, მართლა, გაზეთსა და ჟურნალისტიკაში ფეხადგმულმა ჩემმა კალამმა, ჰაიჰარად, მრავალთაგან ერთად მოწონებული ნოველა „ცხენი თუ მოგიპარავს“ გამომაცხობინა, რასაც ათიოდე წიგნი, მოთხრობათა კრებული მოჰყვა.

რა თქმა უნდა, ესეც ჩემი იაღლუჯის „ბრალია“.

ეჰ, თურმე სულის ტკივილი ეგეთი რამეა, იაღლუჯზე კი არა, მყინვარზე, თვით ზეცაშიც რომ აფრინდე, იქაც არ მოგასვენებს.

ცუგოს ბრალია, კისერზე ჩამოკონწიალებული რადიო რომ დამავიწყდა. ასე იცის ფიქრთა მოზავთებამ.

თურმე, დღეს დიდ რუსთაველს, საყოველთაოდ ღვაწლმოსილს, ამაგდარს, მამულიშვილს გურამ ქაშაკაშვილს დაბადების დღე ჰქონია.

გილოცავ ბატონო გურამ, ჩვენ ხომ ერთად შევაბიჯეთ მეტალურგიაში, შენ მისი გადამრჩენი და არა მარტო მისი, ვინ მოთვალოს „შენი საქმე, უამრავი საგმირონი!“...

როგორღაც შემაჟრჟოლა, რუსთავი ლამპიონების ციმციმში იღვიძებდა, „მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა“ ისევ ისე მიიზავთებოდა, როგორც ამ სტრიქონების აჟღერებისას.

აღმოსავლეთის მზემ პირველი სხივები იქვე ახლოს აგრაგნილ ქედებს კურთხევად მიაპკურა, უცებ ერთიანად ამოზავთდა დავითგარეჯას გოლიათი საყდრები.

ჩემი დიდი წინაპარი, ხუთი ათასი ბერის, სხვათა და სხვათა, მამულისთვის თავშეწირულ შვილთა საუნჯე და კიდევ მრავალი და მრავალი მამულიშვილის სულიერების საყდარი.

და ზეცად ამაღლდა, გააბრწყინა ჩვენი დროის მედეამ, ოღონდ გვარად მეზვრიშვილმა ერის ამაგდარმა, დავითგარეჯობა დღესასწაულად ვინც აკურთხა.

ჰოდა, მისი ხელდასხმით ყოველი წლის გაზაფხულზე დავითგარეჯობას ვზეიმობდით.

ჩემი სადღეგრძელოებიც ხელახლა აჟღერდა, პირველი თასი, კახურით სავსე, ერის გადამრჩენელს, ბიძინა ივანიშვილს, დიდ მამულიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს შევკადრე...

კიდევ ერთხელ დავლოცე უცხოეთში, საშოვარზე გადახვეწილი ჩემი შვილი და მილიონი თანამემამულენი.

ეჰე ჰეი, შე სულძაღლო, საქართველოს მარად უკვდავო მტერო შადიმანო, დავითგარეჯა ჩემია — ეჰე ჰეე, რუსთაველზე დაღვრილო სისხლო!..

შეცბუნებული ცუგო უცებ წამოხტა, თავისი ლამაზი თვალები შეშინებულმა მომაპყრო და აწკმუტუნდა.

ერთბაშად აღმოსავლეთიდან ამოტყორცნილი მზის სხივებში აალებული ნიავი მოვარდა, თან გარეჯას ჰაერის მსუყე სურნელი მოიყოლა.

როგორღაც შვება და სიმსუბუქე ვიგრძენი იაღლუჯის კი არა, იალბუზის თოვლიან თხემზე აღმოვჩნდი მეგონა და ახლა მთელი შემართებით შევძახე სამყაროს: გარეჯა ჩემია, იქ ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის უკვდავი სული ნათობს, კვლავ გავიმეორე და მხრებში თითქოს გოლიათები შემიდგნენ. ...გარეჯა ჩემია, დიდო უფალო, ამოვთქვი და იქვე, ხატის წინ დავიჩოქე.

არადა, ცუგომაც მიღალატა, საიდანღაც ძუკნა გამოძვრა, ცუგომ ერთ ადგილას დაყნოსა და გაიძურწნენ. იმედია, ბაიდენი არ მიღალატებს.



გივი ჯაახუა,
რუსთავის
საპატიო მოქალაქე

№ 73-74. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 7-8 აპრილი, 2021 წელი.

ძალიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები შეიძლება, გათამაშდეს შავი ზღვის გარშემო, რომელიც თუ შედგა, ალბათ, გადამწყვეტიც კი იქნება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, – ასე აფასებს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ ბატიაშვილი თურქეთში დაწყებულ დისკუსიას „მონტროს კონვენციის“ ვალიდურობაზე.

რუსებს არ სურთ ამერიკის ყოფნა შავ ზღვაზე!

დისკუსია თურქეთში და შავი ზღვის გარშემო გეოპოლიტიკური ცვლილებების გათამაშების მოლოდინი საქართველოში

რა არის „მონტროს კონვენცია“?

1936 წელს ხელმოწერილი „მონტროს კონვენცია“ არეგულირებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გამოყენებას სხვა ქვეყნების სატვირთო გემების მიერ. დოკუმენტის თანახმად, თურქეთი ახორციელებს სრუტეებზე კონტროლს მის საზღვრებში.

მშვიდობიანი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილია სრუტეებში სამოქალაქო გემების შესვლა. ამასთან, „მონტროს კონვენცია“ შავი ზღვის აუზში საზღვაო სამხედრო გემების დაშვებას ზღუდავს. კერძოდ, აღნიშნული შეთანხმებით, უცხოეთის გემებს მხოლოდ 21 დღის განმავლობაში შეუძლიათ შავი ზღვის აუზში ყოფნა.

რა ხდება თურქეთში?

„ერდოღანის ხელისუფლება, რომელსაც ვაშინგტონთან ურთიერთობის დათბობა სურს, აცხადებს, რომ შესაძლოა, გადახედოს „მონტროს კონვენციას“. ეს კი ნიშნავს, რომ აშშ-ს ხელ-ფეხი გაეხსნება შავ ზღვაზე“,– ამბობს ბატიაშვილი, თუმცა ამ წინადადებას მოწინააღმდეგეები ჰყავს თურქეთში.

„მონტროს კონვენციამ“ თურქეთს საშუალება მისცა, შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი მეორე მსოფლიო ომის დროს. მიგვაჩნია, რომ საჭიროა, თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი განცხადება და ქმედება, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს, რომ „მონტროს კონვენცია“ – მნიშვნელოვანი ხელშეკრულება თურქეთის გადარჩენის თვალსაზრისით, განხილვას დაექვემდებაროს“, – ნათქვამია 104 ყოფილი სამხედრო ოფიციალური პირის განცხადებაში.

აღნიშნული განცხადების გაკეთების შემდეგ თურქმა სამართალდამცველებმა 10 გადამდგარი ადმირალი დააკავეს. მათ სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ შეთქმულებას ედავებიან.

ქვეყნის მთავრობა მიიჩნევს, რომ განცხადებაში, რომელსაც ხელს 104 პენსიაზე გასული სამხედრო მაღალჩინოსანი აწერს, „მთავრობის სამხედრო გზით დამხობის თაობაზე შეთქმულების ნიშნებია“.

„გადამდგარი სამხედრო პირების ჯგუფი ამ განცხადებით საკუთარ თავს აყენებს სავალალო მდგომარეობაში“, – აცხადებს პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის პრესსპიკერი იბრაჰიმ კალინი.

როგორც ზურაბ ბატიაშვილი გვიამბობს, თურქეთში არსებობს „ევრაზიონისტებად“ წოდებული ჯგუფი, რომელიც თურქეთის ჩინეთთან და რუსეთთან დაახლოების, ხოლო დასავლეთისგან დისტანცირების მომხრენი არიან. როგორც ბატიაშვილი განმარტავს, სწორედ ამ ჯგუფის წევრები მოგვევლინენ ამ შემთხვევაში ერდოღანის ოპონენტებად. განცხადების ავტორების დაკავებას კი ბატიაშვილი ერთგვარ გზავნილად აღიქვამს:

„ანუ მკაფიო სიგნალს უგზავნის (ერდოღანი – რედ) ამერიკელებს, რომ მზადაა, ვაშინგტონთან დათბობის სანაცვლოდ ბოლომდე გაყვეს „მონტროს კონვენციიდან“ გასვლის გზას“.

კონვენციის გადახედვის პერსპექტივა

ბატიაშვილის ანალიზით, თავად ის ფაქტი, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად დაიწყო საუბარი „მონტროს კონვენციის“ გადახედვაზე, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან საკითხის ირგვლივ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო სიჩუმე, მტკივნეული გახლდათ რა თემა თურქეთისთვის.

„ახლა კი ვხედავთ რეგიონში თურქეთის მზარდ ამბიციებს და დაიწყო საუბარი“, – ამბობს ბატიაშვილი.

რაც შეეხება გადახედვის პერსპექტივას, ბატიაშვილის აზრით, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული:

„საერთშორისო ასპარეზზე რა სიტუაცია იქნება – როგორი იქნება ერთი მხრივ, თურქეთ-დასავლეთის, მეორე მხრივ – თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა; რა საპასუხო ზომები შეიძლება, გადადგას რუსეთმა თურქეთის წინააღმდეგ იგივე სირიაში (შეიძლება, ითქვას, რომ თურქეთი ერთიერთზეა დარჩენილი რუსეთთან). ამდენად, ბევრი ფაქტორია, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნება“.

ვის ინტერესში შედის კონვენციის გადახედვა

რადგან საკითხზე ერდოღანის ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი, თურქეთის ინტერესშია. **და ეს ასევე შეიძლება, იყოს შეერთებული შტატებისა და საქართველოს ინტერესშიც,** – ამბობს „აქცენტთან“ ბატიაშვილი და განმარტავს:

„კონვენციის გადახედვის შემთხვევაში თურქეთი თავისი შეხედულებებისამებრ შეძლებს გემების გატარებას ან არგატარებას; შეზღუდვები შავ ზღვას ფაქტობრივად ტბად აქცევს და გადახედვის შემთხვევაში, დასავლეთს შესაძლებლობა ექნება, უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი. საქართველოს შემთხვევაში კი თეორიული შანსი ჩნდება, იგივე, შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები გაჩნდეს ფოთში, ბათუმში ან ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა დაჩქარდეს. ანაკლიის პროექტის დაჩქარება კი ჩვენს ინტერესშია. ცხადია, რუსეთი უკიდურესად ღელავს ასეთ საკითხზე – მას არცერთ შემთხვევაში არ სურს ამერიკელების მუდმივი ყოფნა შავ ზღვაზე“...

აშშ თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიის წინააღმდეგ სანქციებს აწესებს

რუსეთთან **თანამშრომლობის გამო, აშშ თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიის წინააღმდეგ სანქციებს აწესებს. ამის შესახებ საუბარია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ფედერალური რეესტრის შეტყობინებაში.**

კანონის თანახმად, სახელმწიფო მდივანმა განაზღვრა, რომ თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიის სამმართველომ 2017 წლის შემდეგ შეგნებულად ჩაატარა ოპერაციები პირებთან, რომლებიც არიან რუსეთის მთავრობის თავდაცვის ან დაზვერვის სექტორის ნაწილი ან მოქმედებენ მათი სახელით.

„სანქციების საშუალებით ამერიკის მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირების“ კანონის შესაბამისად, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა სანქციები განსაზღვრა თურქეთის თავდაცვის ინდუსტრიის სამმართველოს პრეზიდენტის ისმაილ დემირის, სამმართველოს ვიცე-პრეზიდენტის ფარუკ იგიტის, ასევე სამმართველოს საჰაერო თავდაცვისა და კოსმოსური დეპარტამენტის უფროსის სერჰატ გენკოღლუს და საჰაერო თავდაცვის სისტემების რეგიონალური დირექტორატის პროგრამის მენეჯერის მუსტაფა დენიზის წინააღმდეგ“.

თურქეთის წინააღმდეგ აშშ-ის სანქციები დღეს შევა ძალაში.

რუსები უკრაინასთან კუნთებით თამაშობენ

უკრაინის **საზღვართან რუსეთის სამხედრო აქტიურობა აღმოსავლეთ უკრაინაში დეესკალაციის ძალისხმევას ძირს უთხრის,** – ამის შესახებ ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გერმანულ გამოცემა Die Welt-ს განუცხადა. მან აღნიშნა, რომ ალიანსი განაგრძობს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.

„მოკავშირეები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ რუსეთმა 2020 წლის ივლისის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაარღვია“, – განაცხადა ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

1 აპრილს უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ რუსეთი უკრაინასთან საზღვარზე კუნთებით თამაშში დაადანაშაულა. 30 მარტს უკრაინის შეიარაღებული ძალების სარდალმა რუსლან ხომჩაკმა განაცხადა, რომ რუსეთი სამხედრო სწავლებების საბაბით უკრაინის საზღვართან შეიარაღებულ ძალებს კრებს.

დიდი ბრიტანეთი რუსეთის წინააღმდეგ

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა უკრაინის საზღვართან რუსეთის შეიარაღებული ძალების გადაადგილების გამო შეშფოთება გამოთქვა.

„ბორის ჯონსონმა და ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის საზღვართან რუსეთის სამხედრო აქტიურობა განიხილეს. პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა, რომ გაერთიანებული სამეფო უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ურყევად უჭერს მხარს. მან სოლიდარობა გამოუცხადა ზელენსკის მთავრობას“, – ნათქვამია ბორის ჯონსონის პრესსამსახურის განცხადებაში.



თავი 4
შვილები და მშობლები

თვით ყოვლის უფრორე რბილი აღზრდაც კი გვერდს ვერ უქცევს გაიძულებულ ამა თუ იმ შეზღუდვას, ხოლო ბავშვის თავისუფლებაზე სუყოველი ესჰგვარი ხელყოფა მასში იწვევს წინააღმდეგობისა და აგრესიის მიმართ მიდრეკილებას.

* * *

აღზრდამ თავისი გზა უნდა იპოვოს მოქმედების სრული თავისუფლების მინიჭების სცილასა, აგრესიისა და აკრძალვის ქარიბდას შორის.

* * *

აღზრდის განსაზღვრა შეიძლება, მომდევნო შენიშვნის მოუშველიებლად, როგორც კმაყოფილების პრინციპის დასაძლევი სურვილი და ამ სურვილის რეალობის პრინციპით შეცვლის გზით.

* * *

ფაქტია, რომ თანამედროვე აღზრდა ახალგაზრდა კაცს უმალავს, რა მნიშვნელობა ექნება იმის ცხოვრებაში სექსუალობას, რაიც იმისთვის ერთადერთი სასაყვედურო არ არის. ამას გარდა, ის იმაშიც არის დამნაშავე, რომ ახალგაზრდას არ ამზადებს აგრესიულობისთვის, რისჰ საგანიც ის უნდა გახდეს. ცხოვრების გზაზე ესოდენ მცდარი ფსიქოლოგიური ორიენტაციით რომ აყენებს, აღზრდა ისე მოქმედებს, თითქოს პოლარულ ექსპედიციაში მიმავალი ადამიანების ეკიპირებას ახდენდეს, საბაფხულო ტანისამოსითა და ზენეიტრალურ ტბათა რუკებით.

* * *

მომდევნო ცხოვრების ძალუმმა ძალებმა იზეგავლენეს ბავშვობის განცდათა გახსენების უნარზე, როგორც ჩანს, იმ განცდათა უნარზე, რისი წყალობითაც აგრერიგად შორს ვართ ბავშვობის წლების გაგებისგან.

* * *

ჩანს, ბავშვობა ნეტარი იდილია არ არის, რადაც მოგვიანებით ვაქცევთ ხოლმე იმას, უფრორე პირიქით, ბავშვი მთელი თავისი ბავშვობის განმავლობაში შეპყრობილია იმ ერთი სურვილით, რომ დიდი გახდეს, მოზრდილივით მოიქცეს.

* * *

ბავშვობის სირთულე ის არის, რომ დროის მცირე შუალედში ბავშვს კულტურული განვითარების შედეგის დაუფლება უხდება, რაიც ათასი წლობით გრძელდებოდა, რადგან ადვილი საქმე არ არის ლტოლვათა დაუფლება და სოციალური გარემოს შეგუება, ასევე პირველი ნაბიჯების გადადგმა ორსავე მიმართულებით.

* * *

სირცხვილის გრძნობას მოკლებული ბავშვობა შემდგომ ერთგვარ ფლან სამოთხედ წარმოგვიდგება, არადა, თვითონ სამოთხე ხომ სხვა არა არის რა, თუ არა მასობრივი ფანტაზია ადამიანის ბავშვობაზე.

* * *

ბავშვთა საქციელში შეიძლება კანთიელად დაკვირვება, რომ ისინი „ცუდები“ ხდებიან, რათა დასჯის პროვოცირება მოაწყონ, რის შემდეგაც წყნარდებიან და კმაყოფილდებიან.

* * *

ბავშვები მაშინ ტყუიან, როცა ისინი მოზრდილთ გაძავენ სიცრუეში.

* * *

პაპარა ბავშვის „გააზიზებას“ არასასურველ შედეგად ის მოსდევს, რომ უმწეობის სუყოველ ვითარებაში ობიექტის დაკარგვის საშიშროება მეტისმეტი ხდება სუყოველ სხვა საშიშროებასთან შედარებით. აგრე და ამგვარად, ის ხელს უწყობს პასიურობას ბავშვობაში, რა პასიურობასაც ახასიათებს როგორც მოტორული, ისე ფსიქიკური უმწეობა.

* * *

პირველი ხუთი წლის განცდებს იმდენად გადამწყვეტი გავლენა აქვთ ადამიანის მთელ შემდეგ ცხოვრებაზე, რომ მოგვიანებით იმას, იმ ადამიანს, წინააღმდეგობის გაწევის არცრა ძალა არ შესწევს.

* * *

რაც რამ ბავშვებს ორი წლის ასაკში განუცდიათ და რის გაგებაშიც მაშინ არ იყვნენ, იქნებ აღარცროდის არ გაახსენდეთ, სიზმრებისდა გარდა... მაგრამ მერე ის განცდილი იმათ ცხოვრებაში აკვიატებულ ლტოლვებად შეიჭრება და სუყოველ იმათ საქციელს ეხელმძღვანელება, ხანისად სიამოვნებას მოჰგვრის, ხანისად გულსაც ატკენს და საკმაოდ ხშირად შეურჩევს სიყვარულის საგანს, რომელი საგნის რაციონალური ახსნისა თუ განმარტების მოძებნა ხშირადრე შეუძლებელი იქნება.

* * *

ბავშვის ყოვლის უფრორე ადრეულ წლებს ახასიათებს მამის ძალიან დიდი გადაფასება; სიზმრებსა და ზღაპრებში მშობლებად უცვლელად მეფე და დედოფალი გამოდიან.

* * *

ბავშვის დამოკიდებულებას ცხოველის მიმართ ახასიათებს პრიმიტიული ადამიანის დამოკიდებულებისდა მსგავსი ურთიერთობა ცხოველისადმი. ბავშვი ჯერ კიდევ გადაკვრითაც კი არ ავლენს იმ პატივმოყვარეობას, რაც შემდგომ აღუძრავს მოზრდილ კულტურულ ადამიანს იმის სურვილს, რომ გამოყოს თავისი საკუთარი ბუნება სუყოველი სხვა ცხოველის ბუნებისგან.



„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო“,

— აგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაქნა
გურამ გოგიაშვილმა

* * *

ჩანს, ყველა საფუძველი გვაქვს იმის სათქმელად, რომ სუყოველი მოთამაშე ბავშვი პოეტსავით იქცევა, ქმნის რა თავისთვის საკუთარ სამყაროს, ანდა, უფრორე სწორად თუ ვიტყვით, თავისი სამყაროს საგანთ ალაგებს ახალი, თავისთვის ხელსაყრელი წესრიგის შესაბამისად.

* * *

პაპარა ბავშვისთვის უწინარესად დედ-მამა ხდება ერთადერთ ავტორიტეტად და სუყოველგვარი ნდობის წყაროდ.

* * *

არცრა ძალუძს ბავშვისთვის უფრორე მეტი სიამოვნების მინიჭება, ვიდრე მოზრდილის მხრიდან შეწყნარებას, როცა ის მოზრდილი ეუარება თავის ჭარბ უპირატესობას და ტოლ-სწორსავით ეთამაშება იმ ბავშვს.

* * *

მოზარდი ინდივიდის გამოყოფა დედ-მამის ავტორიტეტისგან ერთ-ერთი ყოვლის უფრორე აუცილებელი, ოღონდ განვითარების ერთ-ერთივე მტკივნეული შედეგია.

* * *

მიბაძვა იმათი ამა თუ იმ თამაშობის ყოვლის უფრორე შემაგულიანებელი მიზეზია.

* * *

თეორიული კი არა, პრაქტიკული მიზნები უბიძგებენ ბავშვის მიერ ამა თუ იმ ამბის კვლევას. ოჯახში ახალი ბავშვი ჩნდებაო, ბავშვში ეს ამბავი იმის შიშს იწვევს, ვაითუ ზრუნვაც მომაკლდეს, სიყვარულიცო და ბავშვს ამ დროს გამჭრიახობა უვითარდება.

* * *

ბავშვური მტრობა დებისა და ძმების მიმართ უფრორე ხშირად გვხვდება, ვიდრე ეს ხელმისაწვდომია მოზრდილის დაჩლუნგებული დაკვირვების უნარისთვის.

* * *

მომავალი ნევროზულობის ერთ-ერთი უთუო მოწმობაა, როცა ბავშვს ვერა და ვერ აკმაყოფილებს დედ-მამის სინაზე და სისათუთე თავის მიმართ; ხოლო, მეორე მხრივ სწორედაც ნევროტიკული მშობლები, მეტისმეტ სინაზეს რომ იჩენენ, ძალიან ხშირად იწვევენ ბავშვში ნევროტიკულ დაავადებას.

* * *

უკეთუ ბავშვები მოზრდილთა შორის სექსუალური ურთიერთობის მოწმენი ხდებიან, იმათ შეუძლიათ ამ სექსუალური აქტის შეფასება, მხოლოდ როგორც გვემა და ძალადობა.

* * *

სკოლაში ბავშვთა საქციელი, რაიც მასწავლებლის წინაშე არაერთ გამოცანას აჩენს, უნდა განვიხილოთ სექსუალობის ჩასახვასთან კავშირში.

* * *

მშობელთა შორის გაუთავებელი ჩხუბი ანდა იმათი უიღბლო ქორწინება ბავშვთა სექსუალური განვითარების ყოვლის უფრორე მძიმე განწყობილებისა და ნევროტიკულ დაავადებათა მიზეზია.

* * *

სუყოველი ის გრძნობა, რასაც ბავშვი თავისი მშობლებისა და სხვა მზრუნველთა მიმართ განიცდის, ძალდაუტანებლად იმ სურვილ-ლიღარად ყალიბდება, ბავშვის სექსუალური ლტოლვის გამოვლინებამდე რომ მივყავართ.

* * *

ყაჩაღები, ღამის ოჩოპინტრეები და მოჩვენებანი, რომელთა შიშიც იპყრობს ძილის წინ, ჩნდებიან ერთი და იმავე ბავშვური მოგონებებიდან. ესენი ისინი არიან, ვინც ბავშვს აღვიძებს, რათა შევამოწმოთ ხომ არ მოსვარა მან ლოგინი და სადა აქვს ხელები.

* * *

ყოვლის უფრორე ადრეულ ბავშვურ მოგონებებში ჩვეულებრივ გადანახულია უხალისო და უმნიშვნელო რამ საგნები, ეს იმ დროს, როცა იმ დროის მნიშვნელოვანი, მდიდარი, ეფექტური შთაბეჭდილებები მოზრდილთა მეხსიერებაში არცრა კვალს არ ტოვებენ (ყოველთვის არა, მაგრამ, ცხადია, ძალიან ხშირადრე).

* * *

ჩემი შეხედულებით, ძალიან გულგრილად ვეკიდებით ბალღურ ამნეზიას – ჩვენი ცხორვების პირველი წლების მოგონებათა მივიწყებას, – და ამის წყალობით გვერდს ვუვლით თავისებურ და ერთგვარ გამოცანას.

* * *

მეტისმეტი მშობლიური სინაზე შეიძლება რომ გახდეს, ცხადია, მავნე, რამეთუ აჩქარებს სექსუალურ მოწიფულობას, აგრეთვე ბავშვს „განებივრებულსა“ ხდის, რომელიც მზად არ არის მომავალ ცხოვრებაში დროებით უარი თქვას სიყვარულზე ანდა ამ სიყვარულის მცირე ოდენობითაც დაკმაყოფილდეს.

* * *

ის პირნი, ვისაც ბავშვობაში რატომღაც გამოარჩევდნენ დედები, შემდგომ ცხოვრებაში იმ თვითკმაყოფილებასა და უშრეტ ოპტიმიზმს ავლენენ, რაიც არცთუ იშვიათად გმირული ჩანს და ნამდვილად უზრუნველყოფს იმათ წარმატებას ცხოვრებაში.

* * *

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაში არცთუ ცოტა საბაბ-სუბაბის პოვნა შეიძლება მტრული გრძნობის მიმართ.

* * *

ნამდვილად გამბედაობა არ გვყოფნის, რომ გამოვუტყდეთ ჩვენს თავს და ვუთხრათ, რატომ ვარღვევთ მეოთხე მცნებას. საზოგადოების როგორც უმაღლეს, ისე დაბალ ფენაში მშობელთა პატივისცემაზე წინ სხვა მიზანთ ვაყენებთ.

* * *

პაპარა ბიჭი განსაკუთრებით შესიციენებს თავის მამას. უნდა, რომ იმნაირი იყვეს ყველგან და ყველაფერში. დარწმუნებულად შეიძლება თქმა, რომ მამა იმისთვის იდეალია.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №58, 65-66, 69-70, 71-72

◎ რატომაც არა?..

პარალელური პერსონაჟები

უკვე გაუწყეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის შედეგებისა და ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში შარშან ორჯერ გადადებული შეკრების შემდეგ (რასაკვირველია, პანდემიის გამო) კოლეგათა მიერ მოქმედი თავკაცისათვის ნდობის მეორედ გამოცხადების შესახებ.

თითქოს, შეგვეძლო აქ დაგვესვა წერტილი, მაგრამ ჩვენმა აწეწილ-დაწეწილმა და თვით ევროპარლამენტის ემისართა ამაო მედიაციით ჯერაც დაულაგებელმა პოლიტიკურმა რეალობამ გვიკარნახა, საკუთარი ვიწროპარტიული

ინტერესების ერთგულ გაჯიქებულ მხარეებს მაგალითად სსჟა-ს აღმასკომის სიჭრელე შევთავაზოთ და მის წევრთა ვინაობის დაკონკრეტებით ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯის გადადგმისკენ მოვუწოდოთ.

ვიმედოვნებთ, აღნიშნულ ფუნაგორიულ გადახვევას გამგები გაიგებს და უახლოესი წარსულისა თუ აწმყოს პერსონაჟებთან პარალელების გავლებით, მნიშვნელოვანწილად, ხელოვნურად განვითარებული დამანგრეველი მოვლენების ინსპირატორ, ტელევარსკვლავებად ქცეულ სუბიექტთა ძალისხმევით ლამის ჩიხში შესულ მოლაპარაკებათა პროცესს სასურველი ფინიშისკენ შემოატრიალებს.

დაგვეთანხმებით, ამით მხოლოდ უხილავ კოვიდ-მტერთან და ათასგვარ შიდა თუ გარე გამოწვევასთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ჩვენი სამშობლო მოიგებს.

მაშ ასე:

პრეზიდენტი: მიშა აბაიშვილი. **ვიცეპრეზიდენტები: ბიძინა** ბარათაშვილი, **თენგიზ** პაჭკორია. **გენერალური მდივანი:** ზურა **თალაკვაძე. აღმასკომის წევრი: ზვიად** შათირიშვილი.

ბევრი, ალბათ, იკითხავს — ნუთუ ქართულ მედიაელიტაში ერთი ედუარდი არ მოიძებნაო.

მოდით, ამ საკითხით დაინტერესება მომავალი ყრილობის დელეგატებს ვუანდერძოთ.

◎ პლეი-ოფი

მართლაც რჩეულნი

ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ გამართულმა წილისყრამ ევროპის ახალგაზრდული საფეხბურთო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტები ასე დააწყვილა:

ჰოლანდია — საფრანგეთი,
დანია — გერმანია,
პორტუგალია — იტალია,
ესპანეთი — ხორვატეთი.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით დრამატულად განვითარდა მოვლენები იმ ჯგუფში, სადაც ხორვატებმა 92-ე(!) წუთზე გატანილი გოლით პლეი-ოფს მიღმა დატოვეს ასაკობრივი ტურნირების ერთ-ერთი ფავორიტი ინგლისი.

მეოთხედფინალური შეხვედრები 31 მაისს მოეწყობა.

◎ ფორუმი

„ვერცხლიც“, „ბრინჯაოც“

შოთა მიშველიძე

როგორც იქნა, მოსკოვში დაიწყო შარშან პანდემიის გამო ორჯერ გადადებული ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი 40 ქვეყნის 350 შტანგისტის მონაწილეობით და საქართველოს დელეგაციის ყულაბაში პირველი მედლებიც ჩაჩხრიალდა.

ერთბაშად ორის მფლობელი გახდა 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **შოთა მიშველიძე,** რომელმაც მეორე ადგილები დაიკავა როგორც ატაცში, ისე ორჭიდის ჯამში (135+155=290).



გიორგი ჩხეიძე

იგი ექვსი კილოგრამით ჩამორჩა ბულგარელ სტილიან გროზდევს, ხოლო „ბრინჯაო“ თურქმა ფერდი ჰარდალმა მოიპოვა 287 კილოგრამით.

ჩვენი გუნდის ამავე წონის მეორე წევრს რამინ შამილიშვილს მერვე შედეგი ჰქონდა — 279 კგ.

კიდევ ერთი — ბრინჯაოს ჯილდო „ჯვაროსნებს“ აკვრაში **გიორგი ჩხეიძემ** მოუტანა (67 კგ) — 170 კგ. ორჭიდში იგი მეხუთე იყო — 310 კგ.

დანრჩენი „ჯვაროსანთა“ გამოსვლის გრაფიკი ასეთია:

8 აპრილი — რევაზ დავითაძე;

9 აპრილი — ნათია გადელია, ანტონ პლესნოი;

10 აპრილი — ირაკლი ჩხეიძე, ანასტასია გოტფრიდი;

11 აპრილი — ლაშა ტალახაძე, ირაკლი თურმანიძე.

◎ ევრობასკეტი

წილისყრის კონტურები

დაზუტდა ევროპის 41-ე საკალათბურთო ჩემპიონატის წილისყრის დეტალები, რომლებსაც გაისად 1-18 სექტემბერს თბილისი, მილანი, პრაღა და კიოლნი უმასპინძლებენ, ხოლო ფინალურ რაუნდს ბერლინი მიიღებს.

ცერემონიალი გერმანიის დედაქალაქის ვესტ მიუზიკ ჰოლში ევროპის დროით 13 საათზე დაიწყება და მას კოვიდპანდემიის გამო, ფიბას გადაწყვეტილებით, შეზღუდული რაოდენობის დამსწრენი ეყოლება მოწვეული სტუმრების, აგრეთვე მომავალი ფორუმის ორგანიზატორი ქვეყნების — გერმანიის, საქართველოს, იტალიისა და ჩეხეთის კალათბურთის ფედერაციების წარმომადგენელთა სახით.

აღსანიშნავია, რომ უძლიერესთა კალათაში მოხვდნენ ესპანეთი, სერბეთი, საფრანგეთი და საბერძნეთი, საქართველოს ეროვნული ნაკრები კი, როგორც ევროპული რეიტინგის მე-18 ადგილზე მყოფი გუნდი, მეოთხე კალათაში გაუწევს კამპანიას უკრაინას, გერმანიასა და ფინეთს.

დავძენთ, რომ თითოეული ჯგუფის ექვსეულიდან პლეი-ოფში 4-4 საუკეთესო ითამაშებს.

64

რჩეული ეტიუდები და პარტიები

თბილისის მოსწავლეთა სასახლეში არჩილ ებრალიძემ დამოძღვრა

ტიგრან პეტროსიანი
(1929, თბილისი — 1984, მოსკოვი)

მსოფლიოს IX ჩემპიონი (1963-1969), თეორეტიკოსი და ჟურნალისტი. ყოველთვიური „საჭადრაკო მოსკოვის“ (1963-66) და ყოველკვირეული „64“-ის რედაქტორი. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი. მიხეილ ბოტვინიკს 12,5:9,5 მოუგო და დამსახურებულად დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს.

1969 წელს მატჩი მსოფლიოს პირველობაზე წააგო ბორის სპასკისთან 10,5:12,5;

„ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჭადრაკში არაფერი არ არის შემთხვევითი...

მე ვთამაშობ მხოლოდ შექმნილი პოზიციური მოთხოვნების შესაბამისობით“ — ამბობდა ტ. პეტროსიანი.

პეტროსიანი — ბრონშტეინი
(მოსკოვი, 1967)



მოგება

ა. ტროიცკი
„ამოცანები და ეტიუდები“ (1928)
I პრიზი



ყაიმი

„მან ეტიუდი ხელოვნების ნიმუშად აქცია“
დ. გურგენიძე

ალექსეი ტროიცკი
(1866-1942)

თანამედროვე მხატვრული ეტიუდის ერთ-ერთი მესაძირკვლე. პირველი ეტიუდი გამოაქვეყნა 1895 წელს. 1928 წელს მიენიჭა რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. მან დაამუშავა ეტიუდის თეორიის ყველაზე აქტუალური საკითხები, რომლებიც აკმაყოფილებენ კომპოზიციის ძირითად პირობებს დაფაზე განლაგებული ფიგურების მინიმალური რაოდენობით, მოგების ან ყაიმის დემონსტრირებას. ეს მოთხოვნა ლაიტმოტივად გასდევს თანამედროვე ეტიუდის ხელოვნებას.

მოამზადა
თამაზ შენგელია

23. ეb6 e5 24. def6 25. ე:e5 ლ:c5 26. ეc6 ლa7 27. ეg4 ეg8 28. ე:h6 ეe8 29. ე:e8 ლ:f2+ 30. ეg8 ეa:e8 31. ლh5 ლe1 32. ეf5+ ეg8g8 33. ე:g7 ეf1 34. ლ:e8+, 1:0 და ეს-ი ტექნიკის ტრაგედია!

1. ცb4+! ეg8 2. ეf3! f1ლ+ 3. ეe1 ლg2 4. ცg3! ეc3 5. ეd1 ლh1+ 6. ეe1+ ეc4 7. ეd2 ლg2 8. ცg3!

რომის პაპმა სააღდგომო ლიტურგია ქართული ხატის წინაშე აღასრულა

კათოლიკური აღდგომის სადღესასწაულო მსახურებამ ვატიკანში, ისევე როგორც შარშან, წელსაც, პრაქტიკულად, მრევლის გარეშე ჩაიარა. წმინდა პეტრეს ტაძარში მორწმუნეებისთვის განკუთვნილი სავარძლები ცარიელი იყო. ღვთისმსახურებას მხოლოდ სასულიერო პირები ესწრებოდნენ, თუმცა პაპმა ფრანცისკემ სააღდგომო ღვთისმსახურება ტრადიციული რიტუალის სრული დაცვით შეასრულა.

ამ რიტუალის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილი ქრისტეს ხელთუქმნელი (Acheiropoetia) ხატის თაყვანისცემაა. ხატზე მკვდრეთით აღმდგარი უფალია გამოსახული. რიტუალი მე-14 საუკუნიდან იღებს სათავეს. მისი აღნიშვნის ტრადიცია 2000 წელს რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ აღადგინა.

სწორედ მისი სურვილი იყო, რომ ხატი ქართულ სტილში ყოფილიყო შესრულებული და მისივე დაკვეთით ის ქართველმა ხატმწერმა ამირან გოგლიძემ შექმნა. ხატის პერანგი იტალიელების ნამუშევარია. ერთ-ერთ ინტერვიუში ამირან გოგლიძემ პაპ იოანე-პავლე მეორესთან შეხვედრა და ხატის შექმნის ისტორია გაიხსენა:

„პაპ იოანე-პავლე მეორეს თბილისში შევხვდი და ეს იყო წარმოუდგენელი შეგრძნება. მართლმადიდებლური მაცხოვრის ხატი იყო ადრინდელი პერიოდისა, რომელსაც ხელთუქმნელად მიიჩნევდნენ. ნახეს, შეისწავლეს, ნახატი რა შინაარსის იყო, როგორი საღებავებით შესრულებული. ვინაიდან პაპს ჩემს რამდენიმე მინიატიურულ ნამუშევარზე უკვე ჰქონდა წარმოდგენა, ორიენტაცია ქართული ხატის მაგალითზე აიღეს. მკითხეს, თუ დრო და შესაძლებლობა გაქვთ, რომ დახატოთო. ვუპასუხე: ჯერ უწმიდესისგან ავიღებ კურთხევას, თუ მაკურთხებს, რომ შევასრულო, შევასრულებ-მეთქი. ეს იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეკვეთა, რომელიც სამ თვეში დაიხატა. დაფას გამოსახულებაც აღარ შერჩენოდა, მხოლოდ ფონები იყო ალაგ-ალაგ, ცოტ-ცოტა საღებავები. ამიტომ თავიდან დაიხატა. პერანგი კი თვითონ იტალიელების მიერ გაკეთდა ვერცხლში მოოქრული. პირველი ხატია, რომელსაც ყოველწლიურად აღდგომისთვის გამოაბრძანებენ მოედანზე და ლოცვას აღავლენენ“.

2000 წლიდან, ყოველ აღდგომა დღეს რომის პაპი ამ ხატის წინაშე აღასრულებს სააღდგომო ლიტურგიას.

უნდა ველოდოთ თუ არა სააღდგომოდ შეზღუდვებს?!

ჯანდაცვის მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, აღდგომის დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე გახდება უწყების გეგმა ცნობილი, დაწესდება თუ არა რაიმე სახის შეზღუდვები.

„ჩვენთვის, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ეკონომიკური აქტივობა ქვეყანაში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვნად არის გააქტიურებული შრომითი ინსპექციის მუშაობა. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოქალაქეების ჩართულობას ყველა წესის აღსრულებაში, რათა არ გავხდეთ იძულებული, ინფექციის გავრცელების გამო გარკვეული შეზღუდვების დაწესებაზე ვიფიქროთ.

ამ ეტაპისთვის, ჩვენ გაგვაჩნია იმის რესურსი, რომ ლოკალურად ღონისძიებების გააქტიურებით მიღებული მაღალი შედეგიდან გამომდინარე არ ვისაუბროთ ჩაკეტვებზე.

ამ ეტაპისთვის, საბჭოს არ უმსჯელია შეზღუდვებთან დაკავშირებით. რა იქნება სააღდგომოდ, ვინაიდან, ამ ეტაპისთვის, ჩვენი მხრიდან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, თუმცა, ინფექციის ზრდა ფიქსირდება. დაახლოებით, აღდგომის პერიოდამდე ერთი კვირით ადრე, გვექნება უფრო ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნება გეგმა, დღესასწაულებთან მიმართებაში“, – განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით კი ქვეყანაში ეპიდსიტუაციის მხრივ დაახლოებით ისეთივე სურათია, როგორიც ოქტომბერში იყო.

„ბოლო 2 კვირა, 20 დღის განმავლობაში ქვეყანაში ეპიდსიტუაციის გაუარესების დინამიკა შეიმჩნევა. ამ დინამიკას არ აქვს ნახტომისებური სახე. ის ნელ-ნელა იმატებს. ასევე შეიმჩნევა დინამიკა აქტიური შემთხვევების და ეს არის დაახლოებით ისეთი სურათი, რომელიც ჩვენ გვქონდა გასული ოქტომბრის დასაწყისში. ამიტომ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს პრევენციისთვის. გამოვიყენოთ ის გამოცდილება, რაც გვქონდა.

მთავარია, მაქსიმალურად ავწიოთ დინამიკა, პირბადის ტარების მაჩვენებელი ჩამოვარდნილი იყო 75%-დან 43%-ზე, ბოლო მონაცემით გვაქვს 51%. უნდა ავიდეთ სულ მცირე 75-80 და საუკეთესო შემთხვევაში 90%-ზე, რომ ვიყოთ შესაბამისად, მშვიდად.

ასევე, დისტანციის დაცვა, ჰიგიენური პირობები და რაც მთავარია, რამდენიმე ადგილზე ჩვენ გვაქვს კლასტერული გავრცელება, შიდა ქართლში, სამეგრელოში, გურიაში. ყველა ეს დაიწყო ისევ და ისევ დიდი თავშეყრებისგან, დაკავშირებულია ქელეხებთან და დიდ ქორწილებთან. ამიტომ, ისევ და ისევ მოწოდებაა, რომ როგორმე თავი შევიკავოთ. მოსახლეობა არ დაყვება ამ შეზღუდვებს. როგორმე გავითავისოთ, თუ არ გვინდა, რომ მესამე ტალღაში შევიდეთ და განმეორდეს ნოემბერი და დეკემბერი!.. გავითავისოთ, რომ უნდა დავიცვათ რეკომენდაციები,“ – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ამასთან, კორონავირუსის წინააღმდეგ დღეში საშუალოდ 1 000 ადამიანი იცრება, ხოლო საჭირო 3 000-მდე ადამიანის აცრაა.

გურამ დოჩანაშვილის არდავიწყება

დიდად ვწუხვართ, ქვეყანას კიდევ ერთი ბუმბერაზი ადამიანი დააკლდა

„გურამ დოჩანაშვილი, – სიმბოლო სულიერი სიდიადის, უბრალოების, სათნოების, თავმდაბლობის, ბავშვური გულუბრყვილობის, სიყვარულის, ეროვნულობის, ღვთისმოსაობის, – ამიერიდან ზესთასოფელში გადასახლდა.

ბედნიერებაა, რომ ასეთი პიროვნება არის უდიდესი მწერალი და ამ სიკეთეს სხვათაც უნაწილებს, – მკითხველს თავისი აზროვნების გულითად თანაზიარად ხდის და, ამასთან, ცხოვრების ჭეშმარიტი გზისა და სიცოცხლის არსის შესახებ აფიქრებს.

აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმან, შვილთან ერთად, სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული, ხოლო ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, ყველა მის თაყვანისმცემელს მოანიჭოს მშვიდობა, ამინ! დიდად ვწუხვართ, ქვეყანას კიდევ ერთი ბუმბერაზი ადამიანი დააკლდა“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

გამორჩეული ქართველი კლასიკოსი

ბრძენი კაცი დააკლდა საქართველოს, გარდაიცვალა თანამედროვეობის გამორჩეული ქართველი კლასიკოსი, დიდი მწერალი და მოაზროვნე

გურამ დოჩანაშვილი



საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქამს ბატონი გურამის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის სახელით ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ინგა შიოლაშვილი, თამარ თამაზაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დიდი ქართველი მწერლის

გურამ დოჩანაშვილის

გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს ნათელა სეფიაშვილს, შვილს ქეთინო დოჩანაშვილს და სრულიად საქართველოს.

ლიტერატურული ალმანახის ახალი ნომერი



გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ **2021 წლის I ნომერი.**

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება: **კახაბერ პავლიაშვილის, თინათინ სიყმაშვილის, პლატონ ბექურიძის, ზაირა მინდელის** მოთხრობები; **ლანა მანველის** პიესა „დრამა პოეტურად“; **მარიამ კოზმანიშვილის, ციცინო მარკოზაშვილის, ნუნუ ძამუკაშვილის, გიული ჩიხიაშვილის, ანა მანოშვილის, შორენა ძამუკაშვილის** ლექსები.

რუბრიკაში „წერილები“ წაიკითხავთ **ზაალ ბოტკოველის** ზეზვა მედულაშვილისადმი მიძღვნილ წერილს „ბაგეთაგან თაფლი გწვეთავს“.

„თარგმანების“ რუბრიკით ქვეყნდება **აფაგ მასუდის** მოთხრობა „ღამე“. აზერბაიჯანულიდან თარგმნა **იმირ მამედლიმ.**

რუბრიკით „ნაბიჯი – ახალგაზრდული ჩანართი“ ქვეყნდება **თამარ ბურნაძისა** და **მარიამ ჩომახიძის** ლექსები; **ქეთევან ჭანკოტაძისა** და **სოფიკო ტაბარუკიშვილის** მინიატიურები; **ელენე ლომსაძის** წერილი.

მიხეილ თუმანიშვილის 100 წლის იუბილეს ეძღვნება **ლალი ქევხიშვილის** წერილი „ბატონო მიშა, არასოდეს დამავიწყდებით“.

რუბრიკა „ღვალწმოსილი ქალბატონი“ **ლია ფეიქრიშვილის** 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბეჭდავს მილოცვებსა და იუბილარის ლექსებს.

ჟურნალი აქვეყნებს მხატვარ **ელზა თუშაბრამიშვილის** ფერადსა და შავთეთრ ნახატებს.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **შოთა ნარეკლიშვილი)** და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე **არჩილ თხლაშიძე)** მხარდაჭერით.

ნანუკა აბულაძე

◎ პოეტის ერთი ლექსი

მოკვდავითა უკვდავისა დამთრგუნველი...

ყველა-ყველა და, დიდი ფშაველისა და ხალხური პოეზიის რამდენიმე შედევრის შემდეგ, სიკვდილის ფენომენზე მსგავსი რამ კიდევ თუ დაიწერებოდა, ნამდვილად მეეჭვებოდა!

არადა, დაიწერა! და დაიწერა კაცისგან, რომელიც პანდემიისგან ისედაც დაზაფრულ ატმოსფეროში, ორი სოფლის გზაგასაყარზე მდგარი, რაღა დასამალია, ყველას მშობლიურად გვენანებოდა ,,უსიზმრო ძილისთვის!

ერთი სიტყვით, შარშანდელი მარიამობისთვე შიშისფეთებაში განვვლეთ ყველამ, ვისაც ცნობილი პოეტი და პროზაიკოსი ვანო ჩხიკვაძე მახლობლებად თავად მიგვიჩნევს.

2020 წლის 8 აგვისტოს საავადმყოფოს პალატაში დაიბადა იაკობივით სიკვდილთან მორკინალი ლექსი, რომლის ტოლი და ფარდი ჩვენს პოეზიაში, იშვიათად თუ დაიძებნება.

დანარჩენი, როგორც სათაურშია!

გიზო ზარნაძე.
2.04.2021.

იქით მელოდოს!

არ ველოდები სიკვდილს,
იქით მელოდოს სიკვდილი,
კარს გავუღებდე ვიდრე,
მივდგებ-მოვდგები, იმ დილით:
— ერთი ხარ,
ერთხელ მოდიხარ,
კარგად გიცანი, ვინცა ხარ —
ხელებსაც თვითონ დავიკრეფ,
პირჯვარსაც გარდავისახავ,
გავშლი ხალიჩას,
ტახტზედაც
შენ რატომ უნდა მაწვენდე.
წითელ ღვინოსაც დავისხამ,
ლუკმასაც ზედ დავაწვეთებ.
სულს რომ გაფრენა სწადია,
როგორ გიგუებს უნაგირს,
ერთხელაც დაიჭიხვინებ
კუნაპეტივით ულაყი.
ჩამიქრობ თვალის სინათლეს
მოსულო შავი ავშარით,
თითებზე გეამბორება
ცრემლი უპეში ჩამშრალი!
არ ველოდები სიკვდილსა,
იქით მელოდოს სიკვდილი,
უკანასკნელად დავუკრავ
თავს წუთისოფელს იმ დილით,
მოვკვდები,
თან წაგიყოლებ
ჯავრო, ამ გულის ნაქაჩო,
რომ გაზაფხულზე მკერდიდან
ამოღაღანდე ყაყაჩოდ!



ვანო ჩხიკვაძე

ნახევარმილიონად შეფასებული ნახატი... დააზიანეს

სამხრეთ კორეაში, სეულის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში გამართულ ქუჩის მხატვრების გამოფენაზე დამთვალიერებლებმა შემთხვევით 500 ათას დოლარად შეფასებული ნახატი გააფუჭეს.

დიდი ზომის გამო ნახატი შუშით არ იყო დაფარული, მის გვერდით კი ფუნჯები და საღებავები ეწყო. ეს ექსპოზიციის ნაწილი იყო, რომელიც მხატვრის ჯო ენდრიუ პერელოს შემოქმედებით გზას ასახავდა.

გამოფენაზე მისულ ახალგაზრდა წყვილს ეგონა, რომ ფუნჯები და საღებავები დამთვალიერებლებისთვის იყო განკუთვნილი. მათ ნახატზე მწვანე საღებავით რამდენიმე ხაზი გაავლეს.



გალერეის თანამშრომლებმა წყვილი ვიდეოკამერების მეშვეობით იპოვეს და დააკავეს. მოგვიანებით ახალგაზრდები გაათავისუფლეს. ორგანიზატორებმა მათ წინააღმდეგ სარჩელის შეტანა საჭიროდ არ ჩათვალეს. ინციდენტის შემდეგ, ნახატთან გაჩნდა წარწერა „არ შეეხოთ“.

◎ დღესასწაული

ხარეგა

7 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ზეიმობს ხარებას.

ღმერთმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, რომელსაც ქალწული შობდა და უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმანება როგორც **„ჩვენთარ არს ღმერთი“**.

და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე.

წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: **„გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“**. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „**ვითარმე არს მოკითხვაა ესე?**“ ანგელოზმა უთხრა: **„ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესერა შენ მუცლადიღო და ჰშვა ძე და უწოდი სახელი მისი იესუ“**.

ხარების დღესასწაულის მადლი სრულიად საქართველოს მიჰმადლოს ღმერთმა!

გიული ლიპარტია

„ფაბერჟეს“ ახალი შედევრი



საიუველირო კომპანია „ფაბერჟე“ ბოლო დროის საუკეთესო სერიალის „სამეფო კარის თამაშები“ — ათი წლის იუბილის აღსანიშნავად ახალ საკოლექციო კვერცხს შექმნის.

ნაკეთობა 2,2 მილიონი დოლარი დაჯდება. იგი მთლიანად გაფორმებული იქნება უმაღლესი ხარისხის ბრილიანტისა და ლალის თვლებით.

აღსანიშნავია, რომ შედევრის შექმნაში, გარდა კომპანიის წამყვანი დიზაინერებისა, სერიალის კოსტიუმების მხატვარი მიშელ კლეპტონიც იღებდა მონაწილეობას.

გულშემატკივრებს, საიუბილეო წელთან დაკავშირებით მისი შემქმნელები კიდევ მრავალ სიურპრიზს უმზადებენ.

აღდგომა... სტადიონზე აღნიშნეს

ავსტრიაში ქალთა საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩი კათოლიკურ აღდგომას დაემთხვა, ამიტომ თამაშის მონაწილეებმა ამ ფაქტის აღნიშნვა გადაწყვიტეს.

მთავარმა არბიტრმა მარინა აუფშნაიტერმა გადაწყვიტა რომ პირველი დარტყმის უფლების ტრადიციული მეთოდით გათამაშება მოსაწყენია და ამის ნაცვლად გუნდების კაპიტნებს შეღებილი კვერცხების გატეხვა შესთავაზა.

„ნილენგბახის“ და „სანქტ-პელტენის“ კაპიტნები ერთმანეთს მოედნის ცენტრში დაუპირისპირდნენ. შეხვედრა „სანქტ-პელტენის“ გამარჯვებით, ანგარიშით 3:2 დასრულდა.

მოამზადეს
რუსუდან ქობულიამ და კახა ქორიძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 9 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4173; ევრო - 4.0136;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7371;
100 რუბლი - 4.4747; თურქული ლირა - 0.4201;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0081;
1000 სომხური დრამი - 6.3994.

ამინდი 7 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+23
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+5	დღე	+24
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge